პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ბრძოლის ხმა

1938 წ. იანვარი
პარიზი

№ 77

1938 — JANVIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L'ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არჩევნების შემდეგ

უზენაეს საბჭოს არჩევნების შემდეგ რუსეთის კომუნისტური პრესა უდიდეს გამარჯვებას დღესასწაულობს და ყოველგან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საზეიმო დემონსტრაცია-კრებებს ახდენენ.

მაგრამ რა აქეთ ბოლშევიკებს ასეთი საზეიმო და სასიხარულო, რა მიზნებს და რა შედეგებს მიაღწიეს მათ ამ არჩევნებში?

1936 წლის გაზაფხულზე სტალინი ამერიკელ ჟურნალისტს როი გოვარდს არწმუნებდა, რომ საბჭოთა არჩევნებში კანდიდატებს წამოაყენებდა არა მხოლოთ კომუნისტური პარტია, არამედ აგრეთვე ყოველნაირი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც; ჩვენ გვინდა საბჭოთა მოქალაქეთ მივცეთ სრული უფლება ხმები მისცენ მას, ვისი არჩევაც მათ უნდათ, ადგილი ექნება გაცხოველებულ საარჩევნო ბრძოლას და ამნაირათ კანდიდატებთა შორის საუკეთესოს აირჩევენო.

ევროპაში მართლადაც დაიბადა ერთნაირი ილლიუზია, რომ, ვითომც, საბჭოთა რუსეთი დემოკრატიული გზისაკენ ექანებოდა. სტალინსაც მიზნათ ქონდა უცხო ქვეყნებში მოეხდინა შთაბეჭდილება რუსეთში თავისუფლებების აღდგენისა და მისი პლებისციტიც «დემოკრატიული» გზით ჩაეტარებინა. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ არჩევნების ცოტაოდენი თავისუფლების ნასახიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ საკადრისი ადგილი მიეჩინათ არა მხოლოთ ადგილობრივი კომუნისტებისთვის, არამედ თვით კრემლის ბატონებისათვისაც. ამიტომ საჩქაროთ პროცესების, ტერორის და ხოცვა-ჟლეტის საშუალებით მიღებულ იქნა ყოველნაირი ზომები, რომ მომავალი უზენაესი საბჭო სტალინისადმი ოპოზიციონურათ განწყობილ ელემენტებისაგან თავისუფალი ყოფილიყო. ეს ამოცანა სტალინმა ეჟოვის დახმარებით კარგადაც შეასრულა.

არჩევნების ორი კვირის წინ უცხოელი კორესპონდენტები მოსკოვიდან თავიანთ ქვეყნებს ატყობინებდენ, რომ საბჭოთა კავშირში კანდიდატებათ დასახელებულია 1143 პირი და, რადგანაც თვითოეულ საარჩევნო ოლქში მხოლოთ ერთი კანდიდატი არის წამოყენებული, ამიტომ ყველა ეს კანდიდატები იქნება უთუოთ უზენაეს საბჭოს დეპუტატებიო. ეს კორესპონდენტები შეცდენ მხოლოთ იმ რამოდენიმე კანდიდატის შესახებ, რომელნიც არჩევნების წინ, უკანასკნელ დღეებში ამომრჩევლების დაუკითხავათ მაღლიდან მოხსნილ იქნენ და მათ ადგილას სხვები დანიშნეს.

ბოლშევიკური ოფიციალური სტატისტიკით არჩევნებში ამომრჩევლების დიდ უმრავლესობამ, 96 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. ეს არ არის გასაკვირი, თუ მივიღებთ მხედველობაში არჩევნების წინა დღეებში კალინინის, თუ სხვა სანოვნიკების და მთელი კომუნისტური პრესის გაფრთხილებას. ყველა ისინი ერთხმათ აცხადებდენ, რომ საქმე იმდენათ არა უზენაეს საბჭოს არჩევნებს ეხებოდა, რამდენათ საჭირო იყო საბჭოთა კავშირის ყველა მტრების წინაშე რუსეთის ერთსულოვანი დემონსტრაცია, ამიტომ არჩევნებში მონაწილეობის არ მიღება სახელმწიფოს ღალატი იქნებოდა. ამას თუ დაუმატებთ იმას, რომ ყოველივე ამომრჩევლის პასპორტზე აღნიშნავდენ, რომ პასპორტის პატრონმა შეასრულა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა, მაშინ ადვილი გასაგებია, თუ რატომ ვერავინ ვერ გაბედავდა საარჩევნო ყუთთან არ მისულიყო და, თუ რატომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ასეთ დიდ პროცენტმა.

ძლიერ გასაკვირია სწორედ ის, რომ დღევანდელი საშინელი ტერორის, ჯაშუშობის და გამცემლობის ხანაში 3.318.866 ამომრჩეველმა, ესე იგი რიცხვით გაცილებით იმაზე მეტმა, ვიდრე თვით კომუნისტურ პარტიაში წევრები ითვლება, სტალინის და მის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა.

არჩევნების სამი დღის შემდეგ გაზეთი «პრავდა» სწერდა, რომ 12 დეკემბერს მთელ ქვეყანამ დაინახა საბჭოთა ხალხების მორალური და პოლიტიკური მთლიანობა და მათი ერთგულება სტალინისადმი. იცოდენ ყველა იმპერიალისტებმა, რომ საბჭოთა კავშირი ძლიერია და მის წინააღმდეგ გამოლაშქრება ადვილი საქმე არ არისო.

საარჩევნო ყუთებთან ხალხის ძალით მირეკით ბოლშევიკებს სურთ ეხლა გამოასწორონ ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც ევროპაში მოახდინა წითელი გენერლების დახვრეტამ და დასცა საბჭოთა კავშირის სამხედრო პრესტიჟი; მათი მიზანია მტრები იმაში დაარწმუნონ, რომ რუსეთთან დატაკება მათთვის სახიფათო რამეა, მოსკოვის ზოგ მოკავშირეემ კი რუსეთთან კავშირის გაგრძელება სასარგებლოთ და საჭიროთ მიიჩნიოს.

როგორ შეხვდა ევროპის საზოგადოებრივი აზრი საბჭოს არჩევნებს? ცხადია ერთი: მოსკოვმა ვერ დაარწმუნა ევროპა ვერც მის «გადემოკრატებაში» და ვერც მის სამხედრო ძლიერებაში.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში კომუნისტურ პრესას, ევროპაში ძნელათ მოიპოვება ისეთი ორგანო, მემარჯვენეა ის, თუ მემარცხნე, რომელსაც რუსეთის არჩევნები დადებითად დაეფასებიოს და ის სასტიკათ არ გაეკრიტიკებიოს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ რუსეთის არჩევნებს მეტათ არა დადებითად და ცხარე კრიტიკით შეხვდა სოციალისტური პრესა. ფრანგული «პოპულერი», ბელგიელი «პ-პლი» და ინგლისელ ტრავაისტების «დეილი ჰერალდი» და ბევრი სხვა სოციალისტური გაზეთები, რომელნიც წინეთ ბოლშევიკების კრიტიკას ერიდებოდენ, მათ ეხლა აღარ ზოგვენ და მათ ნაკლზე აშკარათ ლაპარაკობენ. ამათი აზრით საბჭოთა არჩევნების სისტემას არავითარი კავშირი არ აქვს დემოკრატიასთან; საბჭოთა კავშირში მოახდინეს არჩევნები, მაგრამ დეპუტატთა არჩევანი იქ არ ყოფილა; საქმე ეხებოდა არა ამომრჩეველთა სურვილს და თავისუფალ მოქმედებას, არამედ 90.000.000 ადამიანი ცერემონიალური მარშით უნდა მისულიყო ყუთებთან და იქ აუცილებლათ ჩაეგდო ბიულეტენი, რომელზედაც აღნიშნული იყო ერთად ერთი კანდიდატის გვარი და სახელი; ისტორიამ არ იცის მეორე მაგალითი, როცა დემოკრატიის ძირითადი პრინციპები ისე ცინიკურათ ფეხქვეშ გათელილიყოს, როგორც ამას რუსეთში ქონდა ადგილი, არსად ფაშისტურ ქვეყნებში პლებისციტი ისე ხელოვნურათ არ ყოფილა მოწყობილი, როგორც ეს ამ უკანასკნელათ სტალინმა თავის სასარგებლოთ მოახდინა, და ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ, ვითომც, რუსის ხალხს თავისუფლათ და მისი სურვილისამებრ მიეცეს ხმები არჩევნებში, უბრალო თვალთმაქცობაა და მეტი არაფერიო.

«პოპულერი» რუსეთის არჩევნების შესახებ ირონიით ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება ამტკიცებს, რომ რუსეთში სოციალიზმი განხორციელებულია, რომ იქ არ არსებობს კლასები და ამიტომ იქ კლასთა ბრძოლას არავითარი აზრი არ აქვს, ესე იგი მოსკოვი მიდის იმ დასკვნამდის, რომელიც თვით მარქს დიდათ გააკვირვებდა—ჯერ უარი უნდა ვსთქვათ დემოკრატიაზე, რადგანაც ამ დროებით სოციალიზმი გვაქვს საშენებელი, შემდეგ კი დემოკრატია განზე უნდა გადაიდვას, რადგანაც სოციალიზმი უკვე დამკვიდრებულიაო. გაზეთი აღნიშნავდა აგრეთვე იმ ფაქტს, რომ 12 დეკემბრის არჩევნებმა საბუთი მისცა და გაამაგრა იმათი პოზიცია, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერება მიფია და მოითხოვენ მასთან ყოველივე პაქტის და ხელშეკრულების ლიკვიდაციასო.

ამნაირათ მოსკოვმა სრულიათ ვერ მიაღწია ევროპაში იმ მიზნებს და შედეგებს, რომელიც მას დასახული ქონდა. წინააღმდეგ, არასოდეს უცხოეთში საბჭოთა პრესტიჟი წინეთ არ ყოფილა ისე შელახული, როგორც ის დღეს არჩევნების შემდეგ არის.

სტალინმა ვერ შესძლო ვერც შინ დაერწმუნებია ფართე მასები, რომ რუსეთში ადგილი ქონდა მართლა თავისუფალ არჩევნებს და მას და მის პარტიას ყველა დიდის ხალისით ხმებს აძლევდა. არჩევნების პროცესში ყველამ ნათლათ დაინახა იმ გრანდიოზული ცბიერების, მოტყუილების და ძალადობის ქსელი, რომელშიდაც მთელი რუსეთის მოსახლეობაა გახვეული, და კიდევ უფრო აშკარა გახდა ის საშინელი პირობები, რომელშიდაც მას ცხოვრება უხდება.

სწორი აზრია, რომ საშიშარი მნიშვნელობა იმ მეთოდებისა, რომლითაც მიღწეულია სტალინის დიქტატურის გამარჯვება, იმაში გამოიხატება, რომ სწორეთ ამ მეთოდების წყალობით არსებული დიქტატურის და ფართე მასების შორის სასტიკი გათიშვა ხდება და გარდაუვალი ორმო ითხრება, რომელიც თანდათან ღრმავდება და ფართოვდება.

სტალინი იქნება თუ არა უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ამას იმდენი მნიშვნელობა არ აქვს. ის არის დღეს ფაქტიური დიქტატორი და მისი დიქტატურის გაგრძელება მას შეუძლია მხოლოთ ტერორის და ძალადობის კიდევ უფრო გაძლიერებით. ბევრნი დარწმუნებული არიან, რომ შექმნილი მდგომარეობა სტალინს პირადათ ცუდ რამეს უქადის. მაგრამ ცნობილია, რომ ყველა მოიმკის იმას, რასაც სთესავს.

პ. გ.



ს. გ. მდივანი

გასული წლის 13 დეკემბერს სოში (პარიზის მახლობლად), სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ს. გ. მდივანი. მისი სახით ჩვენმა ეროვნულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ და ქართველი ერის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ დაკარგა დიდი ღირებულებისა და ღირსების მებრძოლი ქართველი.

ს. მდივანი დაიბადა ხონში 1876 წლის 20 ოქტომბერს. მისი მშობლების ოჯახი ადგილობრივ ცნობილ ინტელიგენტთა წრეს ეკუთნოდა და შვილებისათვის განათლების მიცემა თავის აუცილებელ მოვალეობათ მიაჩნდა. სვიმონმა პირველდაწყებითი სკოლის შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გადაინაცვლა; აქ კურსის დათავების შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში შევიდა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი დაასრულა. ამის შემდეგ პირველ ხანებში ოდესაშივე დარჩა და ქალაქის თვითმართველობაში მსახურებდა როგორც ქიმიკოსი. მაგრამ იგი არ იყო მოწოდებული მყუდრო პირად ცხოვრებისათვის და მის მკვირცხლ ბუნებას და პატრიოტულ აღტყინებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა თბილად მოწყობა და შემოსავლიან ადგილზე მოკალათება.

ს. მდივანს ბავშვობიდანვე იზიდავდა საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მშრომელი ერის სამსახური. პოლიტიკურ ბრძოლის ფერხულში იგი ჩაება ჯერ კიდევ გიმნაზიის სკამზე ჯდომის ხანაში, ხოლო უნივერსიტეტში მოწინავე მებრძოლ სტუდენტთა რიგებში ჩადგა პირველ დღიდანვე და თვალსაჩინო ადგილიც დაიკავა. ამ ეკლიან გზაზე შედგომამ მას არა ერთხელ აგემა თვითმპყრობელობის სუსხი, არა ერთი და ორი მძიმე წუთები განაცდევინა, მაგრამ საქვეყნო საქმისთვის შესმული მწარე ფიალა მისთვის სასიამოვნო მოვალეობის აღსრულება უფრო იყო, ვინემ აუტანელი სასჯელი. მას ღრმად სწამდა, რომ ზამთრის სუსხს აუცილებლად მოყვებოდა პოლიტიკური გაზაფხული და მისი დღესასწაულიც მაშინ დადგებოდა. ეს იმედი მას პირველად 1905 წელში გაუმართლდა,—თუმცა მხოლოდ დროებით. სახალხო მოძრაობის აზვირთებულმა ტალღებმა მას ფრთები შეასხა, იმედები გაუძლიერა და ენერგია გაუასკეცა. მან თავი დაანება ოდესაში სამსახურს და თავის სამშობლო ქვეყნისაკენ გამოეშურა. აქ ის ჩადგა სოც.-ფედერალისტთა პარტიის რიგებში, რომელსაც იგი თავიდან ეკუთნოდა, და მალე გახდა მისი თვალსაჩინო წევრი და ერთი ლიდერთაგანი. იგი მთელი თავისი არსებით და დაუშრეტელი ენერგიით ჩაება განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ისეთ სახიფათო საქმეში, როგორიც იყო უცხოეთიდან ფარულად იარაღის მიღება და მებრძოლთა რაზმების შეიარაღება. სამწუხაროდ რუსეთის პირველ განმათავისუფლებელ რევოლიუციონურ ბრძოლის ცდა დამარცხებით და დიდი რეაქციით დასრულდა და ს. მდივნის სამოღვაწეო ასპარეზიც შეიკვეცა. მიუხედავად ამისა იგი ერთხელაც არ შერყეულა თავის რწმენაში და აზრად არ მოსვლია იარაღის დაყრა; მან მხოლოდ დროსა და გარემოების მიხედვით ერთი იარაღი მეორეთი შეცვალა და დროებით დამარცხებულ ხალხის გვერდით დარჩა მისი ჭირისა და ვარამის მოზიარედ. მხნეობა და იმედი მას ერთი წუთითაც არ დაუკარგავს, პირიქით იგი სხვებს ამხნევებდა და იმედიანად გაიძახოდა: «დამარცხება გამოსადეგი გაკვეთილია; დამარცხებამ კი არ უნდა დაგვაძაბუნოს, არამედ გამარჯვების წყურვილი უნდა შეგვმატოს· ბავშვის პირველი ნაბიჯი დაცემით თავდება, მაგრამ იგი მაინც განაგრძობს [illegible] ლაში დავმარცხდით; ახლა უნდა ვემზადოთ ახალი ბრძოლისათვის და არ შეიძლება ბოლოს ჩვენ არ დაგვრჩეს გამარჯვება». ამ იმედით იგი დასახლდა ბათომში, სადაც არჩეულ იქნა საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის დირექტორად. ამავე დროს იგი განაგრძობდა საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეობასაც. ერთ დროს რედაქტორობდა ყოველ დღიურ გაზეთს. იყო ხმოსანი ბათუმის ქალაქის თვითმართველობის და ახლო მონაწილეობას იღებდა მისი პარტიის ლეგალურ და არალეგალურ მუშაობაში.

გამარჯვების წყურვილით შეპყრობილ მებრძოლს ერთხელ კიდევ გაუღიმა ბედმა; დაბერა 1917 წლის თებერვლის ქარიშხალმა და თვალის დახამხამებაში წალეკა რუსეთის მეფის პოლიციური რეჟიმი. ს. მდივანმა მყისვე გაანება თავი კერძო სამსახურს და თავისი უნარი და მთელი ძალღონე რევოლიუციის სამსახურის ასპარეზზე მიიტანა. იგი გადასახლდა თბილისში, სადაც არჩეულ იქმნა ჯერ ეროვნულ საბჭოს და შემდეგ ქართულ პარლამენტის წევრად. იგი სოც.-ფედერ. პარტიის სხვა გავლენიან წევრებთან ერთად გვერდში ამოუდგა ახლად შემდგარ ეროვნულ მთავრობას და გახდა მისი ლოიალური და ახლო თანამშრომელი. მთავრობამ იგი დანიშნა ელჩად მეზობელ სომხეთში. 1919 წელს შეიკრიბა მეფის რუსეთის უღლიდან განთავისუფლებული საქართველოს დამფუძნებელი კრება. ამ უმაღლეს დაწესებულებაში სოც.-ფედ. პარტიამ სხვებთან ერთად თავის წარმომადგენლად გაგზავნა ს. მდივანიც; აქ ის არჩეულ იქმნა კრების თავმჯდომარის ამხანაგის მაღალ თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ გაიგზავნა განახლებულ ოსმალეთში საქართველოს სრულუფლებიან მინისტრად. კეთილშობილური პატრიოტულ გრძნობებით აღზნებული ს. მდივანი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, ყველა დავალებებს ასრულებდა სათანადო კეთილსინდისიერებით; მის მოღვაწეობაში მას ლამპრად წინ უძღოდა სამშობლო ქვეყნის და თავისი ერის უანგარო სიყვარული.

ეს ლამპარი მასში არ ჩამქრალა არც მას შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანას კვლავ შემოესია ჩრდილოეთის ბარბაროსები და ხელახლავ დაიპყრო იგი. ამ უბედურების შემდეგ იგი გადავიდა ემიგრანტულ მდგომარეობაზე და განაგრძო თანამშრომლობა უცხოეთში გადმოხვეწილ ეროვნულ მთავრობასთან. ჯერ ოსმალეთში, შემდეგ საფრანგეთში, რამდენიმე ხანს პოლონეთში და ბოლოს ისევ საფრანგეთში. იგი სულის უკანასკნელ ამოხდენამდე ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესების ერთგული და შეუპოვარი დამცველი იყო. ახლო მონაწილეობა მიიღო კავკასიის კონფედერაციის პაქტის შედგენაში და დიდ მუშაობას ეწეოდა მისი პოპულიარიზაციისთვის. ამ ნიადაგზე მან დაიმსახურა დიდი სიყვარული და ნდობა ჩვენსავით დაჩაგრულ ჩვენ მეზობლების წრეებშიც.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ ეგ დიდი პატრიოტი და უანგარო პოლიტიკური მოღვაწე კერძო ცხოვრებაში იყო შეუდარებელი მეგობარი და გამტანი ამხანაგი; სათნო, თავმდაბალი, დიდთან და პატარასთან მოხერხებულად შემწყობი; მუდამ იმედიანი და დაუღალავი სხვებსაც იმედს უღვიძებდა, ენერგიას მატებდა და ბრძოლის წყურვილს უასკეცებდა.

ეგ ღირსეული და ჩვენი ქვეყნისთვის დიდათ საჭირო ადამიანი დავკარგეთ სწორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენი მრავალტანჯულ სამშობლოს ულმობელ მტრის ტახტი სასიკვდილოდ ირყევა და მისი [illegible] მოკლე ხანის საქმეა.

ს. მდივანი ვერ მოესწრო ამ სანეტარო დროს, რომლის მოახლოვებას მან შესწირა მთელი თავისი ენერგია, ნიჭი და უნარი, მაგრამ მის დიდ ღვაწლს არ დაივიწყებს ქართველი ერი. დღეს ისგანისვენებს უცხო ქვეყნის მიწაში, მაგრამ შორს არ არის ის დრო, როდესაც ქართველ ერს საშვალება მიეცემა,—უცხოეთში დალუპულ სხვა მის დიდ შვილების ნაშთებთან ერთად,—მისი ნაშთიც გადაიტანოს სამშობლო ქვეყანაში და იქ მიუჩინოს მას ღირსეული საუკუნო განსასვენებელი ბინა რჩეულ ქართველთა შორის.

ს. მდივანი დასაფლავებულ იქმნა ლევილის სასაფლაოზე 18 დეკემბერს. განსვენებულს იშვიათი დასაფლავება ხვდა. ცოცხალ ყვავილებსა და ურიცხვ გვირგვინებში ჩაფლულ კუბოს ირგვლივ შემოკრებილი იყო დიდძალი ქართული საზოგადოება, ეროვნული მთვრობა სრული შემადგენლობით, ქართულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა და ეროვნული ცენტრის წევრები; აქვე იყვნენ საბჭოთა კავშირის ციხეში გამომწყვდეულ თითქმის ყველა დაჩაგრულ ერების წარმომადგენლები, განსვენებულის ფრანგი და პოლონელი მეგობრები. სიტყვები წარმოსთქვეს: უკრაინელმა მღვდელმა, ა. ჩხენკელმა (მთავრობის და ეროვნულ ცენტრის სახელით), ს. ფირცხალავამ და ნ. ურუშაძემ (სოც.-ფედ. პარტიის სახელით), მირ-იაკუბმა (კავკასიის კონფედ. საბჭოს სახელით), კ. ქავთარაძემ (საქ. ეროვ. პოლიტიკურ პარტიათა გაერთ. კოლეგიის სახელით), ა. შულგინმა (კავკასიის და უკრაინის მეგობრების კომ.), ატამ ალიბეგოვმა (აზერბაიჯის სახელით), ა. ხატისოვმა (სომხეთი) და ვ. ღამბაშიძემ (ქართული ასოციაციის სახელით).

განსვენებულის ოჯახმა მიიღო მრავალი სამძიმრის დეპეშები თითქმის ყველა ქვეყნებიდან, სადაც კი ქართველი ემიგრანტები ბინადრობენ.

ჩვენი პარტიის საზღვარ-გარეთელმა ბიურომ და პარიზის ორგანიზაციამ კუბო შეამკეს ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული დიდი გვირგვინით.

---

**ს ი მ ო ნ მ დ ი ვ ნ ი ს**

ორმოცი დღის პანაშვიდი გადახდილ იქნება

კვირას 23 იანვარს, 12 საათზე

უ კ რ ა ი ნ ე ლ თ ა ე კ ლ ე ს ი ა შ ი.

მეტრო—გლასიერი.

---

## ს ი ს ხ ლ ი ს მ ო რ ე ვ შ ი

სტალინი რუსეთში და მისი აგენტი ბერია საქართველოში განაგრძობენ ცურაობას სისხლის მორევში. ამ მშიშარებს ავარდნილი აქვთ მუდმივი შიშის კანკალი, შეგნებული აქვთ თავიანთი ვერაგული დანაშაულობანი, იციან როცა იქნება პასუხს აგებენ წელში გამართული ხალხის წინაშე და ცდილობენ ეს განკითხვის ჟამი რაც შეიძლება შორს გადასწიონ. სულიერ წონასწორობის დაკარგულთ ყოველგან და ყველაში ელანდებათ მოღალატენი, ტერორისტები, შეთქმულნი და განუსჯელათ, ცინიკურათ ადამიანთა სისხლის გუბეებს შეუჩერებლივ აყენებენ. ჯერ გასწყვიტეს თავისი ამხანაგები, გაანადგურეს ძველი ბოლშევიკები, რომელნიც ოდესღაც ითვლებოდენ იდეიურ მებრძოლეებათ, აღმოჩნდენ საკმაო ხეპრენი ლენინის სისხლიანი დროშა თავისათ გამოეცხადებიათ და კალთაში ჩავარდნოდენ ხეპრეთა ქურუმს სტალინს. ამათ ვერ გაიყვეს «მოგორებული ბედნიერება», ვერ გაინაწილეს ასსამოცი მილიონი ხალხის ავლა-დიდება, დაერიენ ერთმანეთს და ბოლოს პირველობა ირგუნა უკანასკნელმა. სტალინ ბერია ახლა დღესასწაულობენ ამ მორიგ «ოქტომბერს», ხოლო დღესასწაულობა მათ ენაზე ნიშნავს ადამიანთა ხოცვას და მათ ლეშზე სადისტური სიამოვნებით მეჯლიშების გამართვას.

ერთი ასეთი მეჯლიში ბერიასაც გაუმართავს ცხრა დეკემბერს თფილისის საოპერო თეატრში, შეუყრია ქართველი ინტელიგენცია, მწერლები, პოეტები, პროფესორები და მათთვის წაუკითხავს ჩეკის სახარება: ან მეყმეთ ან სიცოცხლეს გამოეთხოვეთო. ეს დაბრიყვებულნიც ალაპარაკდენ, აჟღერეს საბერიო სიმები; ვინ გაამტყუნებს მათ, ვინ მოსთხოვს გმირობას გათხრილი სამარის პირას. ამ ვაჟბატონმა ამ კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მან დაახასიათა როგორც თავისი ვერაგობა, ისე ამ ჟამათ საქართველოში გამეფებული საშინელი ატმოსფერა. აქ ადამიანს დაკარგული აქვს ყოველივე ღირსება და ღირებულება; მილიონების სიცოცხლე დამოკიდებულია ერთი ბოროტის ქეიფზე; ისინი ვალდებულია იჩოქონ ბერიას წინაშე, უკმიონ შენდობის საკმიელი, რომ ამით მოიპოვონ უფლება ქვეყნათ არსებობისა. ისტორიაში ყოფილა ვერაგული მართველები, მაგრამ ყველა მათ გადააჭარბეს სტალინ-ბერიებმა. უდანაშაულოთა დანთხეული სისხლი მათ მოსვენებას არ აძლევს და ახალ-ახალი მსხვერპლისათვის ბრალდებას ბრალდებაზე თხზავენ. ბერია ატრაბახთა მწერალთა წინაშე და დიდის თავმომწონეობით ამცნო მათ სია ინტელიგენტებისა, რომელნიც მას უკვე მოუსპია და შემდეგში მოსასპობათ ყავს დასახული. მოუსმინოთ ამ დამთხვეულს.

«ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, მ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, გრ. რობაქიძე და სხვ. ერთ დროს თავის თავს სთვლიდნენ ქართველი ინტელიგენციის რჩეულ ნაწილად, ქართველი ხალხის წარმომადგენლებად. საქართველოს მშრომელთა მიერ გაძევებულნი, ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან»... აი ეს პირები უფრთხობენ თურმე ძილს ბერიას, არ ემორჩილებიან მას, არ მუშაობენ მისი კარნახით, პირიქით მას უბედავენ შეებრძოლონ და მისი სისხლიანი რეჟიმის დაქცევისათვის იმუშაონ. ეს ერთი სიმართლე მას როგორც იყო წამოცდა; საბჭოთა ტირანიას მართლაც ვებრძვით; ემიგრაციაში წარმოებული დივერსიული მუშაობა ნამდვილ მებრძოლთ გზას ვერ აუბნევს, მტერს ვერ დაავიწყებინებს და ქვეყნის განთავისუფლების საქმეს კინკლაობაზე ვერ გადაახურდავებიებს. ამ მახინაციებში ბერიას არა ერთხელ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში.

ამ ერთ თავის სიმართლეს ეს ვაჟბატონი აყოლებს მრავალ ტყუილებს, თხზავს ბრალდებებს მის საბრძანებელში მცხოვრებ პირების წინააღმდეგ და ისინი აყავს ერის გოლგოთაზე. ის განაგრძობს:

«ქართველმა ხალხმა შეაჩვენა ისინი (ე. ი. ჟორდანა და კამპანია), როგორც ყველაზე მოსისხლე მტრები. მაგრამ ხალხის საზიზღარმა მტრებმა არ შესწყვიტეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა, ცდილობენ რა თავისი აგენტების საშუალებით თავიანთ მოღალატურ ბადეში მოაქციონ ზოგიერთნი ქართველი ინტელიგენციიიდან... ესენი აღმოჩნდენ პროფესორები გ. ელიავა, გრ. წერეთელი, ა. წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთველის თეატრის ყოფილი დირექტორი ს. ახმეტელი, მწერლები მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ცნობილი მენშევიკი გაიძვერები ნ. ქარცივაძე, სეით თევდარიანი, გ. მახარაძე და სხვ... საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს» («კომ.» 10 დეკ. 1937).

ასე უცერემონიოთ აფურთხებს მოსკოვის შინაყმა ქედმოხრილ ქართველობას. ამ პირებთაგან სამართალში იყო მიცემული მხოლოდ ორი, სადაც ნ. ქარცივაძემ მისცა მის ჯალათს შესაფერი გაკვეთილი. ამის შემდეგ სასამართლოც მიუღებელი აღმოჩენილა და დანარჩენებისთვისათვის ანგარიში გაუსწორებიათ ყაჩაღურათ, ბერიას უბრალო ბრძანებით. მთელ ამ მსხვერპლთა შორის პოლიტიკური მოღვაწენია, გარდა ნ. ქარცივაძისა, მხოლოდ ორი —დევდარიანი და მახარაძე. ყველა დანარჩენებია მსწავლულები, სპეციალისტები და მწერლები. დევდარიანი დიდი ხანია შეურიგდა ბოლშევიკებს და იქიდან ჩვენს ემიგრაციას ეპატიჟებოდა—ჩამოდით, დადექით საბჭოთა პლატფორმაზეო. ამ სამსახურისათვის ახლა მიიღო დაუმსახურებელი ჯილდო. გ. მახარაძე, ძველი სოციალდემოკრატი, წევრი მეორე დუმის, ოთხ წელიწადს კატორღაში გაგზავნილი, სამუდამო ციმბირის მისჯილი, რევოლიუციით განთავისუფლებული, თფილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი, თავდადებული რევოლიუციონერი, საქართველოს ნაც. მთავრობის ელჩი მოსკოვში—ერთი სიტყვით დიდათ დამსახურებული მოღვაწე. ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ გერასიმე განზე დადგა, მუშაობა შესწყვიტა, თუმცა მოსკოვს არ მიემხრო, არჩია ნეიტრალობა და სამაგიეროთ მიიღო უმაღლესი სასჯელი. ე. ი. ამ ორმა მოღვაწემ ვერავითარი საშუალებით ვერ მოინადირეს ბატონების გული, ვერ შეეწყვენ მათ ნება-სურვილებს; ეს დიდი გაკვეთილია ცოცხლებისათვის. დროა ყველამ გაიგოს რომ საჭიროა მტერის მტრულათ დახვედრა და არა მოყვრულათ, ვერაგებთან შეიძლება მხოლოდ ბრძოლა და არა მეზობლობა; მუხლ მოყრილთ, შუა გზაზე შეჩერებულთ, უგზო-უკვლოთ დაბნეულთ ანგარიშს არ უწევენ, არც მტერნი, არც მოყვარენი, არც შინაურნი, არც გარეშენი. რაც შეეხება დანარჩენთ, არა-პოლიტიკურ მოღვაწეთ, ცხადია მათი დასჯის ნამდვილი მიზეზები. ვინ იქნება სტალინის ტერორისტული რეჟიმის მომხრე მთელ საბჭოთა იმპერიაში, გარდა კრემლის ირგვლივ დაგროვილ მკვლელებისა? მთელი ხალხი წინააღმდეგია და მის დასაშინებლათ თითო-ოროლა მოღვაწეთ გამოგონებული ბრალდებების წაყენებით ცხვრებივით ყელს სჭრიან. საკმარისია ვინმეს სადმე წამოცდეს ადამიანური აზრი გამეფებულ რეჟიმზე, ან ზოგ მის მხარეზე, ან ვინმე დიდ ბობოლას სამსახურის იერარქიაზე წინ გადაელობოს, აწყენიოს, ფეხქვეშ არ გაეგოს, რომ ასეთი თავხედი გადარიცხულ იქნას გეპეუს განკარგულებაში და ტყვიით განგმირული. ბერიას ნატყვრაა სიჩუმე სამარისებური, ლაქიობა პილიპე მახარაძური, საზოგადოება გახრწნილი და ლეშათ ქცეული.

საქართველოს გამოუცდია მრავალნაირი ბოროტი მართველობა, მაგრამ მართველობა ასეთი სისხლიანი, უტიფარი, სვინდის გარეცხილი და მჩაგვრელი, როგორიც დღეს თავს დაატყდა, მას არ უნახავს არასოდეს...

---

კვირას, 30 იანვარს,

გეოგრაფიულ საზოგადოების დარბაზში

(184, B-d St. Germain, 184)

ნაშუადღევის 2 საათზე

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

**რუსთაველის დღესასწაული**

მოხსენებებს წაიკითხავენ:

რ. არსენიძე, გ. გვაზავა,

ა. მანველიშვილი და ს. ფირცხალავა.



**რ უ ბ ე ნ ა უ შ ტ რ ო ვ ი**

23 დეკემბერს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ პარიზში გარდაიცვალა საქართველოს ცნობილი სოციალდემოკრატი და პოლიტიკური მოღვაწე რუბენ აუშტროვი. რუბენი ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტის სკამებიდან ებმება პოლიტიკურ მოძრაობაში, იღებს მონაწილეობას 1905 წლის სხვა და სხვა გამოსვლებში, როგორც სტუდენტების, ისე მუშების, სოციალდემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ.

უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ის ბრუნდება თფილისში და ეწერება ადგილობრივ ვექილთა კორპორაციაში. იმ დროს ნაფიც ვექილთა შორის ძლიერ ცოტანი იყვნენ პოლიტიკური მოღვაწენი, განსაკუთრებით სოციალდემოკრატები. მათ შორის რუბენს უთუოთ ეჭირა საპატიო ადგილი. ის იყო გაბედული, გამოდიოდა ვექილთა კრებებზე პოლიტიკური სიტყვით, ასრულებდა პარტიული ორგანიზაციის დავალებებს, დადიოდა არალეგალურ წრეებში, ეწეოდა პროპაგანდას, ერთი სიტყვით იყო პარტიული საიმედო, მომქმედი ამხანაგი თფილისში.

1917 წლის რევოლიუციის შემდეგ რუბენს ირჩევენ თფილისის სოციალდემოკრატიული კომიტეტის წევრათ და უდგება ფართო რევოლიუციურ მუშაობას ყველა სფეროში. ის იყო მუშათა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და სახალხო გვარდიის ერთი დამაარსებელთაგანი, მისი აქტიური და ენერგიული მუშაკი, რის გამო მას ირჩევენ გვარდიის მთავარ შტაბის წევრათ და მალე მდივნადაც. ამ სფეროში რუბენმა გამოიჩინა განსაკუთრებითი ნიჭი, საქმის სიყვარული და ნაყოფიერი მოღვაწეობა. მისი მონაწილეობით წყდება გვარდიის ყველა მთავარი ორგანიზაციული, პოლიტიკური და სამხედრო საკითხები.

რუბენი იყო აგრეთვე ხმოსანი თფილისის ქალაქის თვითმართველობისა. დაბოლოს ის გახდა საქართველოს უზენაეს ორგანოს—დამფუძნებელი კრების წევრი.

ამხ. რუბენს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის შექმნაში და დამაგრებაში. საზღვარ გარეთ გადმოიხვეწა ჩვენში ბოლშევიკების შემოსევისას—1921 წელში. აქ მას გაუჩნდა უკურნებელი სენი—ასთმა, რამაც ასე უფროოთ მოუღო ბოლო ჯერ კიდევ ახალგაზდა ნიჭიერ მოღვაწეს. რუბენი იქნა დატირებული და დამარხული მისი ამხანაგების და მეგობრების მიერ სოფ. ლევილში. მისი კუბო იყო შემკობილი ყვავილებით და გვირგვინებით პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს და პარიზის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციისაგან, «სოციალისტური აზრის» დაჯგუფებისაგან, სოშოელ ამხანაგებისაგან, გვარდიელების და მეგობრებისაგან. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს: რ. არსენიძემ, ვ. გოგუაძემ და ვლ. მგელაძემ.

---

## ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა

საერთაშორისო მდგომარეობა დღეს კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ის ამ ერთი წლის წინეთ იყო. ასეთი მდგომარეობა 1918 წლის შემდეგ ჯერ არ ყოფილა.

ევროპაში პოლიტიკური წონასწორობა ძირიანათ შერყეულია და ის მუდმივ მერყეობის და ქანაობის პროცესშია. წინათ ამ წონასწორობის დამყარებელი და მისი ტონის მიმცემი ინგლისი იყო. დღეს კი ევროპის საქმეებში პირდაპირ ჩამორევას და ჩვეულებრივათ ფეხის დაბაკუნებას ის გაურბის და ერიდება. საამისოთ მას შესაფერისი სამხედრო ძალა და შეიარაღება არ მოეპოვება, თუმცა ამ მხრივ ის ეხლა გაფაციცებით და მოუსვენრათ დღედაღამე ემზადება.

ერთა ლიგაც, რომლის ერთი უმთავრესი ხელმძღვანელთაგანი ინგლისია, დღეს სულს ღაფავს. ამ დაძაბუნების უმთავრესი და უპირველესი ავტორი თვით დიდი ბრიტანეთია. მაგრამ ინგლისთან ერთად დიდ ომში გამარჯვებულ სხვა დიდ სახელმწიფოებმაც ყველაფერი ქნეს იმისათვის, რომ ერთა ლიგა არ გამხდარიყო ერთა ნამდვილ ლიგათ.

ერთა ლიგა შეიქმნა კონფლიქტების და ინტრიგების ასპარეზი, სადაც საერთო გადაწყვეტილებების მიღება და საერთო მოქმედება ძნელი გახდა. აბა ასეთი ლიგის ვიღას შეეშინდება და ანგარიშს მას ვინ გაუწევს!

დასუსტებულ ერთა ლიგას ჯერ იაპონიამ შეაქცია ზურგი, შემდეგ იქიდან გერმანიაც გავიდა. იაპონია პირდაპირ რუსეთს ემუქრებოდა, გერმანია კი ერთ და იმავე დროს საშიშროებას წარმოადგენდა როგორც რუსეთისათვის, ისე საფრანგეთისათვისაც.

რუსეთმა, რომელსაც აღმოსავლეთით და დასავლეთით ემუქრებიან, დაიწყო ყოველგან მოკავშირეების ძებნა და შეეცადა სადმე თავის შეფარება. საფრანგეთის ინიციატივით დაბოლოს საბჭოთა რუსეთი ერთა ლიგაში იქნა შეყვანილი, შემდეგ საფრანგეთი მოსკოვს პაქტითაც შეეკრა. საფრანგეთი ფიქრობდა ამით ერთა ლიგის გამაგრებას და გერმანიის გაფრთხილებას და დაშინებას. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის მნიშვნელობას საერთაშორისო ასპარეზზე საფრანგეთი ზედმიწევნით ბერავდა და მოსკოვის ავტორიტეტს ხელოვნურათ ზრდიდა და ამაგრებდა, გერმანიამ, განსაკუთრებით, მისმა სამხედრო სპეციალისტებმა მშვენივრათ იციან საბჭოთა რუსეთის სხვების მიერ გაზვიადებული სიძლიერის ასავალ-დასავალი.

საერთოთ, დიდათ შეცდენ ისინი, ვინც ფიქრობდა, რომ საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგაში შესვლით ამ უკანასკნელის წონა და გავლენა გაძლიერდებოდა. საბჭოთა კავშირს ერთა ლიგისათვის არ მოუმატია არც ძალა და არც ავტორიტეტი. წინააღმდეგ, არასოდეს წინეთ საბჭოთა რუსეთს არ ქონია ისეთი ნაკლები წონა და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, როგორიც მას დღეს აქვს. ამის უმთავრესი მიზეზია ის საშინელი მდგომარეობა, რომელიც მთელ საბჭოთა რუსეთში კრემლის ტერორისტულ დიქტატურით არის შექმნილი.

ეხლა ყველა ხედავს რუსეთის შინაურ სისუსტეს და უიჯალადობას. რომ მისი სამხედრო ძლიერების შესახებ უცხოელებს გაზვიადებული წარმოდგენა ქონდა, ესეც ყველასათვის ნათელი შეიქნა. კრემლი დღეს ერთს, ხვალ მეორე პროვოკაციას ახდენს, რაც ზოგ მის ევროპიელ მოკავშირეს მეტათ ცუდ მდგომარეობაში აყენებს, მაგრამ ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ მოსკოვი არავითარ ისეთ რისკზე არ წავა, რომელიც მისი დიქტატურისათვის სახიფათო იქნება. ასეთი მდგომარეობაა იმის საბაბი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დღეს ასეთი გაბედულობით და ხმაურობით მოქმედებს ტოტალიტალური ქვეყნების ბლოკი და პასიური არიან დემოკრატიული სახელმწიფონი, რომელთაც გვერდში რუსეთი ამოსდგომია. რუსეთი სახელს უტეხს მის მოკავშირეთ, სცემს მათ პრესტიჟს და ამით ხელს უწყობს და ამაგრებს ფაშისტურ ქვეყნებს.

დღითი დღე უფრო ფართოვდება იაპონიის საომარი მოქმედება ჩინეთში. მან დაიპყრო არა მხოლოთ მანჯუკო, არამედ უდიდესი ენერგიით ემზადება ჩინეთის იმპერიის მთლიანათ დასაპყრობათ და მთელ აზიის კონტინენტზე და წყნარ ოკეანეზე გასაბატონებლათ.

გერმანიამ ფაქტიურათ გააუქმა ვერსალის და ლოკარნოს ხელშეკრულებები, აღადგინა თავის სამხედრო ძლიერება და ეხლა კოლონიალურ თუ ბევრ სხვა საკითხებში ახალ ახალ მოთხოვნილებებს აყენებს.

იტალიამ, რომელიც წინეთ საერთაშორისო ასპარეზზე უმნიშვნელო როლს თამაშობდა, დაიპყრო აბისინია, გახდა კოლონიალურ იმპერიად და ეხლა მსოფლიოზე ბატონობაში თანაბარ მონაწილეობას მოითხოვს. ის შეუერთდა გერმანიის და იაპონიის შორის დადებულ «ანტიკომუნისტურ შეთანხმებას» და 11 დეკემბერს გამოვიდა ერთა ლიგიდანაც.

გერმანია და იტალია 18 თვის განმავლობაში აქტიურ მოქმედებას აწარმოებენ ისპანიაში, სადაც ისინი ცდილობენ ფაშისტური რეჟიმის გამარჯვებას ხელი შეუწყონ და მით ფაშისტური ქვეყნების გეგემონია ხმელთა შუა ზღვაზე უზრუნველჰყონ. ინგლისის და საფრანგეთის გაურკვევლობა და მერყეობა ერთის მხრივ, საბჭოთა რუსეთის ინტრიგები მეორეს მხრივ არის ერთი მთავარ მიზეზთაგანი, რომ ისპანიის საკითხი ვერ მოგვარებულა და ისპანიის ერს ჯერ კიდევ თავისუფალი და ნორმალური ცხოვრება ვერ დაუმყარებია.

გერმანიამ და იტალიამ ევროპაში გაიყვეს გავლენის სფეროები. იტალია აღარ ებრძვის ეხლა გერმანიას ავსტრიის საკითხის გამო და მის საზღვრებთან აღარ ახდენს ჯარების დემონსტრაციებს. გერმანია თავისუფლათ აწარმოებს დიდ პროპაგანდას ცენტრალურ ევროპაში გერმანულ ელემენტების შემოსაერთებლათ. იტალიაც სცნობს გერმანიის უპირატესობას ცენტრალურ ქვეყნებში, მაგრამ თავის მხრივათაც მოითხოვს გავლენის უაღრესობას ბალკანეთში და დაიმედებულია, რომ მიიღებს გერმანიის ყოველგვარ დახმარებას ხმელთა შუა ზღვის საკითხში.

ფაშისტურ ქვეყნებს გარკვეული მიზანი აქვთ, მათი მოქმედებაც წინასწარ მოფიქრებული და განზომილია. ისინიც ამაზე ღიათ და საჯაროთ ლაპარაკობენ. მათ შორის კავშირი, ბლოკი ამ უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო განმტკიცდა, ცდილობენ ამ ბლოკში სხვებიც ჩამოითრიონ და ამ გზით თავიანთი მოქმედება გააფართოვონ.

რა პასუხს აძლევენ დემოკრატიული ქვეყნები ფაშისტურ სახელმწიფოებს?

გასულ წელს, ამ დროს, დემოკრატიულ ქვეყნებს გამოფხიზლება დაეტყოთ. ისინი შეიარაღებაზე, ერთმანეთთან კავშირზე და ფაშისტურ ქვეყნების ალაგმვაზე ბევრს ლაპარაკობდენ და შესაფერისი ენერგიითაც თავდაცვისათვის მზადება დაიწყეს. ისინი სიცოცხლის და მოქმედების უნარიანობას იჩენდენ. მაგრამ მათ შორის არსებულ წინააღმდეგობამ და მათ ცალ-ცალკე სიარულმა მალე ეს უნარიანობა თვალსაჩინოთ შეამცირა. დემოკრატიული ქვეყნები კონკრეტიულ ზომებზე ვერ თანხმდებოდენ და საერთო მოქმედებას ვერ აწარმოებდენ. ასე იყო გერმანიასთან კონფლიქტის დროს, აბისინიის, თუ ისპანიის საკითხში, ასევე მოხდა ბრიუსელის კონფერენციაზე, სადაც ჩინეთის პრობლემა ირჩეოდა.

როცა ამ უკანასკნელათ გერმანიის, იაპონიის და იტალიის შორის ოფიციალურათ კავშირი შეიკრა, შექმნილ ფაქტს ინგლისმა სათანადო ანგარიში გაუწია და ბერლინში მოსალაპარაკებლათ ლორდი გალიფაქსი გაგზავნა. ინგლისის პრესაში გამოქვეყნდა მოთხოვნილებები, რომლებიც, ვითომც, გერმანიას წამოეყენებიოს: 1) გერმანიის გაერთიანება ყველა იმ გერმანულ ელემენტებთან, რომელნიც გერმანიის საზღვრების გასწვრივ, მაგრამ მის გარეშე იმყოფებიან; 2) გერმანიისადმი წინანდელი მისი კოლონიების დაბრუნება, თუ მისთვის ახალის მიცემა; 3) კავშირთა ფრანგული სისტემის ლიკვიდაცია, დაშლა მცირე ანტანტისა და სხვა.

თუმცა ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ასეთ მოთხოვნილებებს არა დადებითად შეხვდა, მაგრამ მის მართველ წრეებში აღმოჩნდა დიდი ტენდენცია, რომ გერმანიას მისცემოდა მოქმედების თავისუფლება ცენტრალურ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში, რათა ამით მას 10 წლით მაინც უარი ეთქვა კოლონიების მოთხოვნაზე.

ანგლო-გერმანიის ამ მოლაპარაკებამ საფრანგეთში დიდი შიში და ეჭვები გამოიწვია. ფრანგების დასამშვიდებლათ ლონდონში მიპატიჟებულ იქნენ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი. ამ შეხვედრამ ზოგი შიში და ეჭვები გაფანტა, მაგრამ მაინც საჭირო შეიქნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პოლიტიკური მიზნებით ემოგზაურა პოლონეთში და მცირე ანტანტის ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ ხანების მოლაპარაკებებში არსად საბჭოთა რუსეთს არ მიუღია მონაწილეობა და მისთვის არავის ყურადღება არ მიუქცევია. ყველა ეს მოლაპარაკებები ხდებოდა მის გარეშე და მისდა დაუკითხავათ. საერთაშორისო ანგარიშში ის, ვითომ, არც კი ითვლებოდეს.

რომ საფრანგეთი და ინგლისი თვითონ არიან დანაშაული იმ მდგომარეობის შექმნაში, რომლის წინაშე ისინი დღეს იმყოფებიან, ეს ზოგი ოფიციალური წყაროებიდან უკვე საქვეყნოთ ცნობილი ამბავია.

გერმანიის და იტალიის ძალზე შეიარაღებამ ზოგი ახალი სახელმწიფოები საგონებელში ჩააგდო. მათ არ იცოდენ, თუ რას იზამდა საფრანგეთი თუ მათ გერმანია, ან იტალია თავს დაესხმოდა. პოლონეთს უნდოდა ქონებოდა საფრანგეთის სრული გარანტია, რომ ის მას დაიცავდა, თუ გერმანია მოინდომებდა მასზე თავდასხმას. იუგოსლავიაც მოითხოვდა დახმარების გარანტიას საფრანგეთისაგან, თუ იტალია სერბიელ ადრიატიკას—დალმაციას წაეპოტინებოდა. საფრანგეთი ასეთ გარანტიას არ იძლეოდა, რადგანაც საერთო გართულების დროს ინგლისის იმედი მას არ ქონდა, უინგლისოთ კი მარტო მას ომში ჩარევის დიდათ ეშინოდა. ამის შემდეგ სავსებით გასაგებია, თუ რატომ პოლონეთმა, რომელიც საბჭოთა კავშირის და გერმანიის შორის მომწყვდეულია, გამონახა 10 წლის «მოდუს ვივენდი» გერმანიასთან, ან თუ რატომ იუგოსლავია შეეცადა იტალიასთან კარგი დამოკიდებულება ქონებოდა. ყველაფერი კი ეს საფრანგეთისათვის მეტათ დამაფიქრებელი ამბავი გახდა. დელბოსიც შექმნილ ცუდი მდგომარეობის გამოსასწორებლათ და გასაუმჯობესებლათ წავიდა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში.

ჩვენ გაზეთებიდან ვიცით, რომ საფრანგეთის წარმომადგენელს მისი მოგზაურობის დროს ყოველგან დიდი თანაგრძნობით შეხვდენ. მაგრამ ადვილათ შესაძლებელია ასეთ სურათმა ხშირათ მოგვატყუოს და შეცდომაში შეგვიყვანოს. მთავარი კი არის, რა დაპირება, რა გარანტიები აღუთქვა საფრანგეთმა მარტო, თუ ინგლისის სახელითაც საშიშროების დროს იმ ქვეყნებს, სადაც მან თავისი წარმომადგენელი წარგზავნა. დაბოლოს ეხლა ხომ ყველაფერს ძალა სწყვეტს და მას, მეტადრე დღეს, ყველა დიდ ანგარიშს უწევს. თვით საფრანგეთ-ინგლისიდან დღეს ბევრია დამოკიდებული: რამდენათ ისინი იქნებიან გარკვეული და გაბედული როგორც თავიანთ თავის, ისე სხვების დასაცავათ, იმდენათ უფრო ადვილათ შესძლებენ თავის გარშემო სხვების შემოკრებას და მათთან ერთად მოქმედებას.

დიდი მნიშვნელობის არის უთუოთ შეერთებული შტატების პრეზიდენტის—რუზველტის მიერ ამ უკანასკნელათ წარმოთქმული სიტყვები, თუ, რასაკვირველია, სიტყვები, როგორც ეს ხშირათ ხდება, მხოლოთ სიტყვებათ არ დარჩება. რუზველტის აზრით ამერიკა ნაწილია მსოფლიოსი, რომლის წევრებია ბევრი სხვა ერებიც და ყველა ამ ერთა შორის უნდა არსებობდეს სოლიდარობა და მათი ინტერესების ერთი მეორესაგან დამოკიდებულება. რუზველტი ფიქრობს, რომ აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოებმა მოახდინონ მათი მოქმედების კოორდინაცია და აღადგინონ მათი პრესტიჟი, რათა ამ გზით დაიცვან ცივილიზაცია და მშვიდობიანობა.

თავის თავად ცხადია, დემოკრატიული ქვეყნები ვერ იმოქმედებენ იმ მეთოდებით და ვერ ივლიან იმ გზით, რომლითაც ფაშისტური ქვეყნები მიდიან. აგრესიული და მტაცებლური პოლიტიკა მათ არ შეფერის. მაგრამ დემოკრატიული ქვეყნების მოვალეობაა შექნან ძლიერი საზოგადოებრივი აზრი და აამხედრონ ის ყოველივე ბოროტების და უსამართლობის წინააღმდეგ. ამ საზოგადოებრივ აზრს სათანადო გავლენა უნდა ქონდეს თვითეულ ქვეყნის მთავრობაზე და ასეთ პირობებში შემდეგ ადვილია სხვადასხვა მთავრობების საერთო გამოსვლა და მოქმედება.

ეკონომიურათ და პოლიტიკურათ უძლიერეს ქვეყნების—ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის გაერთიანება წარმოადგენდა დიდ უაღრესობას, როგორც ფიზიკური ძალის, ისე ყოველგვარი მატერიალური რესურსების მხრივ, ერთად აღებულ ყველა დანარჩენ სახელმწიფოებზე. და ამ სამი ქვეყნის შეთანხმებული მოქმედება გახდებოდა, უეჭველია, საერთაშორისო პოლიტიკის უდიდესი ფაქტორი, რომლის ანგარიშის არ გაწევას ვერავინ ვერ გაბედავდა და რომლიდანაც ბევრი იქნებოდა დამოკიდებული მომავალში.

გ. გვარჯალაძე.

«დამ. საქ.»-ში (№ 141) დაბეჭდილია საქართველოს ნაციონალური მთავრობის შემდეგი ოფიციოზური განცხადება:

## საჭირო განმარტება

გერმანულ ენაზე გამოცემულ ჟურნალში «Der Kaukasus»-ში (№ 1) დაბეჭდილია გენერ. გ. კვინიტაძის წერილი «მოსკოვი და ტფილისი». ამ წერილს თან ახლავს გაგრძელება, რასაც ხელს არავინ აწერს; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს გაგრძელებაც უნდა ეკუთვნოდეს თვით წერილის ავტორს, მაგრამ ასეთი აზრის საბუთიანობა ჩვენ ვერ დავუშვით იმ მოსაზრებით, რომ წარმოუდგენლათ მიგვაჩნდა ჩვენი ყოფილი მთავარ-სარდალის მიერ ასე სავსებით დავიწყება ჩვენი უკანასკნელი ომის მთავარი მომენტების და პრესაში მოთხრობა მოვლენების, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონებია. ამ დამატებაში ნათქვამია, ვითომ საქართველოს მთავრობამ გადასცა ბათომი და ბათომის ოლქი ოსმალეთს და ეს ისე, რომ პასუხისმგებელ მინისტრებს არც კი სცოდნიათ; გარდა ამისა, აქ ნათქვამია აგრეთვე, რომ მოსკოვს და საქართველოს შორის ომის განმავლობაში ოსმალეთს ეჭირა საქართველოსადმი «მეტი ვინემ მეგობრული ნეიტრალიტეტი».

აღნიშნულ გერმანულ ჟურნალის შემდეგ გამოვიდა მეშვიდე ნომერი ქართული გამოცემისა «კავკასია»; აქ მოთავსებულია რამდენიმე წერილი სწორედ იმავე საკითხზე, და მათ შორის გენერ. კვინიტაძისაც, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ გერმანულ გამოცემის ინფორმაცია თუ არ ეკუთვნის ყოფილ მთავარ სარდალს, ყოველ შემთხვევაში მის მიერ გაზიარებულია.

ყველა ამ წერილებში სხვადასხვა ავტორები აწერენ საქართველოს ეროვნულ მთავრობას ოსმალეთისთვის მიცემას: გერმანულ ჟურნალში—ბათომისას, ქართულში—ართვინის და არტაანის მხარეებისას. ყველა ამ ცნობების შესახებ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ეს ცნობები ყველა ერთად და თითოეული ცალცალკე მოკლებულია ყოველივე ისტორიულ სიმართლეს და გამოგონებულია ახლა, სახელდახელოთ, განსაზღვრულ მიზნის მისაღწევათ, სახელდობ: გაამართლონ ჟურნ. «კავკაზ»-ს მიერ აღებული ხაზი საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობის წინააღმდეგ; ამავე დროს ავტორნი ხელს აფარებენ მოსკოვის მთავრობას, რომელმაც მართლა გასცა საქართველოს ტერიტორია საგანგებო ხელშეკრულებით.

პირველ ყოვლისა, ჩვენ მიგვაჩნია სრულიად დაუშვებლად ასეთი გამოლაშქრება, და განსაკუთრებით ისეთი პასუხისმგებელი პირის მფარველობით და მონაწილეობით, როგორიც იყო გენერ. კვინიტაძე, ზეპირ მოგონებების სახით და ყოველივე ისტორიული საბუთის გარეშე.

ეროვნულმა მთავრობამ ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლიდან 27 მარტის 1921 წლ. თარიღით მიმართა ევროპის საზოგადოებრივ აზროვნებას განსაკუთრებითი მოწოდებით, სადაც აღწერილია საქართველოს დაცემის მთელი ამბავი თავიდან ბოლომდის და რასაც ხელს აწერენ ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი და კ. ჩხეიძე. ეს მოწოდება მაშინვე დაიბეჭდა ევროპის მრავალ ჟურნალ-გაზეთებში; მაშასადამე, ეს არის იმ დროინდელი ოფიციალური დოკუმენტი, რომლის გაცნობა და წაკითხვა შეეძლო ყველა დაინტერესებულ მხარეს და, მაშასადამე, მათ ეძლეოდათ საშვალება იქ ჩამოთვლილ ფაქტების უარისყოფის; მაგრამ არასოდეს არავითარი გამოლაშქრება ამ მოწოდებაში აღნიშნულ ფაქტების წინააღმდეგ არავისგან ყოფილა. აქ სწერია, სხვათა შორის: «საქართველო იქმნა შემოქალტული ყოველი მხრიდან რუსის მე-11 არმიის და სხვადასხვა ერთეულების მე-8, მე-9 და მე-13 არმიების, ბუდიონნისა და ჟლობის კავალერიის ნაწილების გარდა. ამ დროს ბოლშევიკებმა მიიღეს ახალი დახმარება საქართველოს გასასრესად. 23 თებერვალს ანგორის მთავრობამ ჩვენ გადმოგვცა ულტიმატუმი, რომლითაც ითხოვდა დაცლას ჩვენი ჯარების მიერ არტაანისა და ართვინისას. ვინაიდან ჩვენთვის შეუძლებელი იყო საკმარისი ძალების დაპირდაპირება ოსმალეთის თავდასხმის წინააღმდეგ ამ ახალ ფრონტზე, ჩვენ იძულებული გავხდით უკან დაგვეხია ჩვენი ჯარები ამ ქალაქებიდან და ენერგიული პროტესტი გაგვეცხადებია ოსმალეთისთვის ამ მოქმედების წინააღმდეგ».

აქედან ნათელია საქმის მდგომარეობა.

ამ ოლქების დაპყრობის წინააღმდეგ აგრეთვე განცხადებულია წერილობითი პროტესტი პარიზში ჩვენი ელჩის აკ. ჩხენკელის მიერ ოსმალეთის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ბექირ-სამიბეისთვის.

ამნაირად, საქართველოს ეროვნულ მთავრობას არასოდეს არავითარი სანკცია არ მიუცია ართვინ-არტაანის საქართველოს ტერიტორიიდან ჩამოგლეჯისათვის.

სინამდვილეში ჩვენი ტერიტორიის ასეთი გაცემა მოახდინა მოსკოვის მთავრობამ 16 მარტს 1921 წლის ხელშეკრულებით, რომელიც დაიდვა მოსკოვში რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსკოვსა და ანგორას შორის მოლაპარაკება სწარმოებდა ჩვენი ტერიტორიების შესახებ სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ ომს ვაწარმოებდით რუსეთის წინააღმდეგ და ეს მოლაპარაკება მათ შორის დამთავრებულა ხელშეკრულებით ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ ჩვენს ტერიტორიაზე ვიმყოფებოდით. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის ძალით ანგორას ეთმობა სწორეთ ის ტერიტორიები, რომელნიც ოსმალეთმა საქართველოს ჩამოგლიჯა და დღესაც ხელში უჭირავს. ყარსის ხელშეკრულებაში ეს მუხლი მხოლოდ სიტყვა-სიტყვით არის განმეორებული იმ განსხვავებით, რომ პირველზე ხელი უწერია მოსკოვის მთავრობას (ჩიჩერინი), ყარსისაზე კი—საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლების წარმომადგენლებს (შ. ელიავას და ალ. სვანიძეს).

რაც შეეხება ბათომის გადაცემას, ამაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. აქ ცდა იყო ოსმალეთის წარმომადგენლის მიერ საქართველოს მთავრობისადმი ნოტის მიცემის ბათომის გადაცემის შესახებ მათთვის (17 მარტს 1921 წ.), მაგრამ მთავრობამ ეს ნოტა არ მიიღო და მაშინვე ბრძანება გასცა ბათომის ოსმალებისაგან გასაწმენდათ; ამ ბრძანების თანახმად, და ეს ყველას კარგად ახსოვს, ოსმალების წინააღმდეგ ბათომში იბრძოდენ და ისინი უკუაქციეს სწორედ დამოუკიდებელ საქართველოს ჯარის ნაწილებმა.

## ეროვნულ სადარაჯოზე

ევროპის საზოგადოებრივი აზრი შეპყრობილია ხვალინდელი ომის საშიშროებით. გაცხარებული კამათი ჩვეულებრივი მოვლენაა მის შესაძლებლობაზე, მის ფორმებზე, მის ტეხნიკურ სიძლიერეზე.

გასული წლის მანძილზე სახემწიფოებრივ ძლიერების საკითხმა დაფარა თითეულ ერში შინაური პოლიტიკურ-ეკონომიური კრიზისები. თავის დამოუკიდებლობის დაკარგვის და მეზობლის შიშით შენელდა შინაური სოციალური ტალღათა დენა; ქვეყნის ეკონომიური რეორგანიზაციის პრობლემა გადაუჭრელი რჩება, წინ წამოყენებულია შეიარაღებულ ძალთა საჭიროება, მათთვის წლიურ ბიუჯეტში უპირატესობის მიკუთვნება.

თუ ომის გათავების მეორე დღეს დაღლილი კაცობრიობის იმედი მშვიდობიანობის დასამყარებლათ და ერთა შორის სადაო საკითხების მოსარიგებლათ ემყარებოდა საერთაშორისო უფლების აღდგენაზე და ამ მხრივ მის იმედებს ფრთები შეესხა უენევის ინსტიტუტის შექმნით, დღეს ეს უკანასკნელი დასუსტებული და მწარე გამოცდაში დამარცხებული ველარ წარმოადგენს ერთა უფლების დაცვისთვის საკმაო გარანტიას. ცხადია ნაადრევია მის მესაფლავეთა დღესასწაული, ის უდიდესი მორალური მნიშვნელობის ძალაა, ის ერთადერთი დაწესებულებაა სადაც აღმართულია უფლების ტრიბუნა, რომლისგან რეალური სიძლიერის შექმნა დამოკიდებულია იმ ძალთა განვითარებაზე, რომელნიც თავის ძირითად მოქმედების საფუძვლად ისახავენ ყველა ერთა და ხალხთა სრულ მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას.

მაგრამ სანამ არსებობს ვიწრო ეგოისტური ეკონომიურ-პოლიტიკური მისწრაფებანი, ძალას, მუშტს, იარაღს ეთმობა უპირატესობა, უფლება ისაზღვრება არა სამართლიანობის გზით, არამედ ღონით, ძალადობით. «ჯერ დავიპყრობ,—ამბობდა ფრიდრიხ მეორე—შემდეგ უფლების დამტკიცება ადვილია და დამცველებიც გამოჩნდებიანო». ეს თქმულება გახდა ზოგიერთ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის რეალური გამოხატულება, რამაც დააფრთხო მცირე ერები და მათ დაიწყეს ცალკე კავშირებისა და თავშესაფარის ძებნა. ევროპა-აზიის ამ აფორიაქებულ მდგომარეობას ლოდივით აწევს თავზე და ამძიმებს საბჭოთა რუსეთი. ის უდიდესი დამაბრკოლებელი მიზეზია ევროპის უდიდეს ერთა დასაახლოვებლათ. თუმცა მისმა შინაურმა დაუთავებელმა შფოთვამ და ხოცვა-ჟლეტამ გამოაფხიზლა ევროპის საზოგადოებრივი აზრი, ბევრი ილიუზიები დაიმსხვრა, საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე მისი წონა და ღირებულება საეჭვო გახდა.

სამაგიეროთ სტალინი ემზადება საკუთარ სახლში მდგომარეობის დასამაგრებლათ, მოსალოდნელ გართულების მოლოდინში ზურგის უზრუნველსაყოფათ მის ერთგულებისგან დასაზღვევათ.

შესძლებს?!..

სტალინი დღეს ზეიმობს ხალხზე გამარჯვებას, მასზე ბატონობის გაგრძელებას. გასულმა წელმა დაამთავრა დიდი ხნიდან დაწყებული პიროვნული რეჟიმის ჩამოყალიბება, ახალი თვითმყრობელური მართველობის გაფორმება კი მოხდა სტალინის მიერ არქივიდან ძველი ბოლშევიკური თეორიის გამოთრევით, მისი ცხოვრებაში განაღდებით. ხალხს არ ძალუძს მოაწყოს საზოგადოებრივი ცხოვრება, თავის თავს უპატრონოს, სტალინი მოვლინებულია მის გასაბედნიერებლათ, მის მოსავლელათ. მან მთელი წლის განმავლობაში აყვირა დაქირავებული პრესა. მორჩილი კალმოსნები მთელი ქვეყნიერების დასარწმუნებლათ, რომ მისი კონსტიტუცია უაღრესათ დემოკრატიულია, ადამიანისა და საზოგადოების უფლების დამცველია; საბჭოთა პრესამ კი დაუმალა თავის მკითხველთ, თუ როგორ სამარცხვინო ბოძზე გააკრა დემოკრატიულმა და სოციალისტურმა პრესამ მისი საარჩევნო კომედია. მაგრამ შიგნით ხომ არავინ გამოჩენია მოკრიტიკე და დამწუნე. მან წინასწარ ამოსწყვიტა საკუთარი პარტიის წევრები. ტყვიით გული გაუგმირა ოდნავ მოაზროვნეთ და მოსალოდნელ მეტოქეთ. პარტია, გეპეუ, მილიცია ახალი ახალი კადრებით შევსებული საუკეთესო იარაღი დარჩა ხალხის ტერორის ქვეშ დასაყენებლათ, მის საარჩევნო ყუთებთან მისარეკათ და ერთად ერთ ხელისუფლებისთვის საიმედო კანდიდატის ხმის მისაცემათ.

სტალინის «პარლამენტი» ერთგული შინაყმებით გავსებული ახალი მანქანაა პირადი ბატონობის უზრუნველსაყოფათ, კრემლის შერყეულ კედლების შესაბოგირებლათ. «პრავდა»-ს ალსარებით ამრჩეველთ კავშირის უზენაეს საბჭოსთვის ჩაუბარებია რწმუნება უხელმძღვანელოს ქვეყანას ისე, როგორც ამას გვასწავლის ლენინ-სტალინის პარტია, როგორც ამას მოითხოვს სტალინური ცენტრალური კომიტეტი. როგორც ვხედავთ სტალინმა შექმნა მორჩილთა ინსტიტუტი, ბოლშევიკური სურვილები გამოაცხადა ხალხის სუვერენულ ნებისყოფათ და ახალი თვითმპყრობელური მართველობის ფორმით დააკანონა არსებული სახელმწიფოებრივი და ეკონომიური სისტემა, ტირანიული მართველობა განსაკუთრებულ ფორმაში ჩააყენა, რაც ნიშნავს არა ხალხის უფლების აღდგენას, რადგან მას წართმეული აქვს უფლება თავის ცხოვრების მოწყობაზე იზრუნოს, იაზროვნოს საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენებზე, მათზე გავლენა მოახდინოს.

სტალინი წინასწარ იზღვევს თავს მოსალოდნელ ურჩ და შეუსმენელ «დეპუტატისგან». თუ გზას გადაუხვია—ეუბნება ის ამომრჩეველთ—თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ არჩევნების დანიშვნა და ის, რომელმაც გზას გადაუხვია ყორანივით გააშავოთ», ე. ი. ეს ნიშნავს დიქტატურის სინამდვილეში, თუ ვინმე ხმას ამოიღებს საკრიტიკოთ უზენაეს საბჭოში, აყვირდება პრესა, მოითხოვენ არჩევნებს და გაშავებას ვინ აკმარებს გაკიცხულს, მას არ ასცილდება გეპეუს სარდაფი და შეიძლება ტყვიაც. ამას უძახის ქართული «კომუნისტი» ხალხის უზენაეს დაწესებულებას, მის სუვერენობას, მის სასიცოცხლო ინტერესების დამცველს.

გასული წლის მანძილზე მწვავე სოციალურ ქარტეხილში ჩაბმული იყო მთელი საბჭოთა ცხოვრების ურთიერთობა; მშრომელ გლეხობის, ქალაქის მუშათა პასიური წინაამდეგობა მავნებლობის სახით წარმოებული მიმდინარეობდა მძაფრი სიმწვავით, ერთს მხარეზე დიქტატურა, მისი პრივილეგიური წრე, ბიუროკრატია ჯარით, მეორეზე—მშრომელი მასსა. ხელისუფლება დივერსანტებზე, ტროცკისტებზე ნადირობით გართული უფრო ანებივრებს ისედაც თავაშვებულ გაბატონებულ წრეებს, უპირისპირდება ხალხს, მის ინტერესებს.

აღნიშნულ პოლიტიკურ მოვლენათა რკალში მომწყვდეულია საბჭოთა კავშირის მცირე ერები, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელნი დაპყრობილნი და ეროვნულათ დაჩაგრულნი შეურყეველი ნებისყოფით აგრძელებენ განმათავისუფლებელ მოძრაობას, თუმცა სტალინი შეეცადა თავისი გამაბედნიერებელ კონსტიტუციით ცენტრალური მიდრეკილების განმტკიცებას, კერძოთ ჩვენი ერის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრების დარგები დაუკავშირა ცენტრს—მოსკოვს, მის სურვილებს. მან ცხადია დააკანონა ის რაც გუშინ ფაქტიურათ არსებობდა.

კრემლის ახალ საშინაყმოში 12 ქართველის შეყვანით, რომელიც ორიოდე სულწასული მოსკოვის ჯამის ტლაკია ინტელიგენტია და დანარჩენი ბერია და მისი მოწაფენი «კომუნისტის» პირით ქართველი ერის ღირსეულ შვილებათ, მის წარმომადგენლათ გამოაცხადა, ქართველი ერის მოსკოვთან შერიგებათ გაასაღა. ისტორიული უბედურების ქარტეხილში მოსკოვის მოსამსახურეებათ მოვლინებულნი, სამარცხვინო არჩევნებით ერის «დეპუტატებათ» გასაღებულნი ისინი წარსდგებიან კრემლის კარებთან ქართველი ერის სახელით მოსკოვს მორჩილებას და ერთგულებას განუცხადებენ.

მაგრამ ხალხზე გამარჯვებას არ შეუქმნია დიქტატურისთვის სულიერი სიმშვიდე, არჩევნების შემდეგაც მისი შიშით დამფრთხალი თვალები კვლავ ყოველ კუნჭულში ეძებენ მტრებს. გასულმა წელმა შეუნელებელი ბრძოლა გადაულოცა მომავალ წელს. კრემლის დიქტატურას არ აქვს იმედი ხალხის ჭკუაზე მოყვანის, მისი მოქცევის, მისი დაპატრონების, მისი გამარჯვება ზერელეა, რადგან ხალხის გული გაუტეხელი და დაუპყრობელია, მით უმეტეს შეუძლებელია მცირე ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობის შეჩერება; ამიტომაც ის შიშისაგან იქნევს ხმალს, ცელავს ადამიანთა სიცოცხლეს. ჩვენი ერისთვის ნათელია გასული წლის მანძილზე მომხდარი პოლიტიკურ ვითარებათა სარკე, ის აშკარათ ხედავს მეფის დროის პოლიტიკურ ურთიერთობის აღდგენას, მოსკოვის იმპერიალიზმის ფრთების გაშლას კავკასიის ფრთებზე, ქართველთა მიწა-წყალზე მისი ბატონობის გაგრძელებას. მისი ბრძოლის ხაზი შეურყეველია, მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია და ახალი წლის დამდეგს მთელი ჩვენი განცდები, გრძნობები, ფიქრები, უჩინარი, ხელშეუხლებელ სულიერ მისწრაფებათა ძაფებით უკავშირდება სამშობლოს გულის ძგერას, მის შეუწყვეტელ ბრძოლის გაგრძელებას თავის გასანთავისუფლებლათ.

როცა მთელ მსოფლიოში დაუდგომელი პოლიტიკურ მოვლენათა ტალღა ბობოქრობს, სწრაფლ ცვალებადობას განიცდის ძალთა ურთიერთობა, დაკავშირება და სახელმწიფოებრივი ცხოვრების შინაური და საგარეო მიმდინარეობანი, როცა მტრის ბანაკი ახალ ფორმაში, ახალ ბარიკადებზე შემაგრებული კვლავ თრთის და განკითხვის დღეს მოელის, ჩვენ ერთხელ კიდევ მოუწოდებთ წლის დამდეგს, რომ ყველა ქართველმა, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი ბედიღბალი შეიგრძნოს და გაიმსჭვალოს ჩვენი ერისთვის უდიდეს ისტორიულ მომენტის პასუხისმგებლობით; ყველა სასიცოცხლო ძალები სადაც ისინი არ უნდა იყვნენ დადგენ ქართული საქმის ეროვნულ სადარაჯოზე, შეინარჩუნონ მორალური, პოლიტიკური და ეროვნული მთლიანობის დარაზმულობა, შემოკრბენ ეროვნული ხელმძღვანელობის გარშემო და მით შეასრულონ ერის ბრძანება: ერთად დგომა მტრის წინაამდეგ, მებრძოლ ძალების მთლიანი ფრონტი, მიზანშეწონილი მოქმედება.

პ. სარ—ამე.

## ზოგი რამ

გვირჩევენ რომ თავი გავანებოთ «კავკაზ»-თან კამათს, რადგან სულ ერთია:—არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო. ეს აზრი სწორი იქნებოდა, რომ საქმე გვქონდეს მხოლოდ «კავკაზ»-თან და მის თანამშრომლებთან. მაგრამ, ეხლა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ «კავკაზი» მხოლოდ სხვისი იარაღი და საშვალებაა. ეს კი გვავალებს მას კვალ-და-კვალ ვსდიოთ და ყველა ის სიყალბენი, თუ ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ «ჩაწყობილი» გეგმები ნათელვჰყოთ და მის ჩაშლას ხელი შეუწყოთ.

ბამატის მტრობა ჩვენი ქვეყნისადმი არ ახალია. ჯერ კიდევ ჩვენი დამოუკიდებლობის დროს ის ითხოვდა ჩვენი მთავრობისაგან აფხაზეთის დაცლას, რის უტყუარი დოკუმენტი ჩვენ კარგა ხანია გამოვაქვეყნეთ. ამ ჩვენი დაცემის ხანაში ის განაგრძობს ჩვენი ერის მტრობას და ახლა ტერიტორიაზე გვედავება. ამაში ახალია მხოლოდ ის რომ მას მიემხრენ ზოგი ქართველები. ერთი ამათგანი ავალიშვილი ახლა შესდგომია დასაბუთებას ტერიტორიის გაცემისა.

ის სწერს: «რადგანაც ამ ჟამად ლაპარაკია იმის შესახებ თუ ვინ და სად აიღო ხელი ეროვნული ტერიტორიის ნაწილებზე, ჩვენც მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ 1918 წ. 4 ივნისს, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, მისმა დელეგატებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას ოსმალეთთან, რომლითაც საქართველო ოსმალეთს უთმობდა: ბათუმის, არდაგანის, ყარსის, ახალციხის და ახალქალაქის სანჯაყებს. ამაზე ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობის პირველმა თავმჯდომარე ნ. რამიშვილმა, გ. გვაზავამ, გრ. რცხილაძემ და გენ. ოდიშელიძემ»... «ულტიმატუმი, რომელიც მათ ყველას ერთად წარედგინათ და რომელზედაც ყველამ ერთად უარი სთქვა, ახლა მიღებული იყო ყველა რესპუბლიკების მიერ სათითაოდ—იმავე ბათუმში»-ო.

როგორც ვხედავთ, ოსმალეთის მოთხოვნილება, მიუხედავად ულტიმატუმისა, უარჰყო სამივე რესპუბლიკამ, ხოლო შემდეგ, როცა ამ უარის ნიადაგზე დაიშალა სეიმი და ცალკე რესპუბლიკები გამოცხადდა—საქართველო უმწეო და უიარაღო, მიტოვებული ყველასაგან, მარტოდ მდგომი პირისპირ შეიარაღებულ და გამარჯვებულ დიდ ოსმალეთთან, მაინც ბედავს უარჰყოს ულტიმატუმი და თუ მეორეჯერ მაინც იღებს მას—ეს იყო შედეგი მისი სამხედრო დამარცხებისა. საქართველომ წააგო ომი, დამარცხებულს გამარჯვებულმა მტერმა წაართვა ტერიტორიის ნაწილი. და ეს ძალით წართმევა თურმე დათმობა ყოფილა! თუ ასეა მაშინ საფრანგეთსაც დაუთმია 1871 წ. გერმანიისათვის ელზას-ლორენი! ქვეყანამ იცის რომ ეს იყო შედეგი საფრანგეთის

დამარცხებისა. გერმანიამ მოაწერა ხელი ვერსალის ზავს, რომლის ძალით მისი ტერიტორიის ნაწილები სხვების ხელში გადავიდა. გამოდის რომ გერმანიამ «აიღო ხელი» თავის ქვეყნის ნაწილებზე! ომით წაგებულ თუ წაგლეჯილ ტერიტორიის მიცემათ თუ დათმობათ მონათვლა—პროფესორს კი არა, მეორე კლასის შეგირდსაც არ ეპატიება, და თუ ეს მაინც ემართება—ეს, ალბათ, თავის ალის სასიამოვნოთ.

მორეულ დათვს კაცი ბაბას ეძახოდაო. მარა ვინ «მოერია», ან ვინ რა ულტიმატუმი წარუდგინა ამ «უებრო პატრიოტებს», რომ ასე იოლათ იღებენ ხელს იმაზე, რაც, თუ გინდ «დათმობილი» იყო 1918 წელს, მაგრამ შემდეგ დაბრუნებული? ესეც რომ არ იყოს, მაშინდელი «დათმობა» მოახდინა ჩვენი ხალხის ნდობით და უფლებით აღჭურვილმა პირებმა, მაგრამ ეს ავალიშვილი დაკომპ. ვისილა რწმუნებულნი არიან, ან ვინ მისცა მათ უფლება რაიმე დათმობაზე ილაპარაკონ და ისიც იმ დროს, როცა ამ «დათმობის» მომთხოვი არც კი სჩანს საამკარაოზე?!

«რადგან ვიგონებთ რა ზედმეტი სიმსუბუქით ჩვენ ძველ უფლებებს—განაგრძობს ბ. ავალიშვილი—გვავიწყდება ის გარემოება თუ რა მძიმე სასყიდლით იყვენ შეძენილი და შენარჩუნებულნი ეს ადგილები» და სხ. ჩემი შენ გითხარიო—სწორედ ესაა. სწორედ რომ ის «მძიმე სასყიდელი», რომლითაც «ეს ადგილები იყვენ შენარჩუნებულნი» გვავალებს გასავალი არ მივცეთ «კავკაზი»-ს და მისი პატრონის ავანტიურას. მარა აქ ბ. ავალიშვილი გვაშინებს: «ვინც ამ ძველ უფლებას ასეთის ეშხით იგონებს—ამბობს ის—მას არ უნდა ავიწყებოდეს საქმის მეორე მხარეც—მსხვერპლობა»-ო. წინა წერილში ის არწმუნებდა ოსმალებს რომ ყარსის ხელშეკრულებისათვის ქართველებს «არც ისე შეუწუხებიათ თავი»-ო, ხოლო ქართველებს აჯერებდა—ეს ადგილები მაინც აღარაა შენი, იქ ქართული ლაპარაკიც კი აღარ იციან, ის მხოლოდ არქეოლოგიისათვის არის საინტერესოო. მეორე წერილში კი უმატებს, რომ თუ მაინც და მაინც გინდათ ეს ადგილები—«მსხვერპლობა არ დაივიწყოთ»-ო. ერთი სიტყვით, ყველაფერს სჩადის რომ ამ ნაწილების როგორც მიცემა, ისე წაღება გაადვილოს. და სრულიად გაუგებარია ყოველივე ამის შემდეგ იმავე ნომერში, გენ. კვინიტაძის გაკვირვებული შეკითხვა:—«რაშია საქმე ბატონო პოლიტიკოსებო?»

საქმე ბატონო გენერალო სწორედ იმაშია, რაზედაც თქვენ სწერთ იქავე, სახელდობრ: «თუ ჩვენთვის საჭიროა ოსმალეთის კეთილგანწყობილება და არა მტრობა, შეუძლებელია ჩვენი რეალური პოლიტიკისათვის ისეთი საკითხი დავაყენოთ, რომელიც ოსმალეთის მიერ ხელშეკრულობის ძალით წაღებულ ქართულ ოლქებს ეხება»-ო და სხ. ახლა ჩვენ უნდა მივმართოთ მას მისივე შეკითხვით:—რაშია საქმე ბატონო გენერალო? თუ არ უნდა დავაყენოთ «ისეთი საკითხი»—რატომ დააყენეთ? ეს ხომ თქვენ დააყენეთ და არა ჩვენ? რა მოხდა ისეთი რომ თქვენ ეს საკითხი ასე წამოსწიეთ წინ, რატომ გინდათ რომ ქართველმა ხალხმა უთუოდ დაადასტუროს ჩვენი ქვეყნის ოკუპანტების მიერ დადებული ხელშეკრულება? რატომ გამოდიხართ ამ ხელშეკრულებათა ასეთ ერდგულ დამცველათ?

თავის პოზიციის გასამართლებლად გენ. კვინიტაძე იგონებს სომხეთთან ომს და იმოწმიებს ამის შესახებ გამოცემულ წიგნს. «იქ თქვენ ამოიკითხავთ—სწერს ის—რომ რევოლიუციის წინ და შემდეგაც ჩვენი მმართველები დაპირებული იყვენ, რომ სომხებისათვის ლორი, ბორჩალო და ახალქალაქი გადაეცათ. სწორედ ამ დაპირებას ემყარებოდა სომხეთი, როცა მან 1918 წელს საქართველოს ომი გამოუცხადა»-ო და სხ.

სავალდებულოა, როცა ვინმეს წიგნიდან ფაქტიური ცნობა მოჰყავს, ის იყოს ჩასმული ბრჩხილებში. ბ. კვინიტაძე ასე არ იქცევა, ის ასახელებს წიგნს, მარა მისთვის საჭირო ადგილს თავის სიტყვებით გადმოგვცემს. ვისზეა აქ ლაპარაკი? რევოლიუციამდე სად გვყავდა ჩვენ მთავრობა, რომელსაც შეეძლო ტერიტორიების გაცემა? რევოლიუციამდე «ჩვენი მმართველები» იყო მეფის მთავრობა. რევოლიუციის შემდეგაც დიდხანს «ჩვენი მმართველები» იყო ოზაკომა და ამიერ-კავკასიის კომისარიატი—იქნებ ესენი იყვენ დაპირებულნი? მეორეს მხრით—დღემდის ყველამ ასე ვიცოდით რომ სომხებთან ომში საქართველოს არავითარი ბრალი არ უდევს, რომ მას ამისთვის არავითარი საბაბი არ მიუცია, რომ ამ ომის ავტორები და მოკარნახენი იყვენ სულ სხვები და მისი მიზანიც უფრო შორს სცემდა, ვინემ ლორი და ბორჩალო. დღეს კი გამოდის გენ. კვინიტაძე და საჯაროთ აცხადებს, რომ «როცა სომხებმა საქართველოს ომი გამოუცხადეს სწორედ ამ დაპირებას ემყარებოდნენ»-ო. ასე სწერს ჩვენი ქვეყნის ისტორიას ის, ვინც შექმნა და წინ წამოაყენა თვით ამ ისტორიამ! ასე ხდის ის ბოდიშს სომხებს ჩვენზე თავდასხმისათვის!

გენ. კვინიტაძის და მის ამყოლთა აზრით საქარ. რესპ. არსებობის მანძილზე ყოველთვის და ყოველგან მტყუანი იყო მხოლოდ საქართველოს მმართველობა, ყველა გარეშენი კი, ვინც რესპუბლიკას მოსვენებას არ აძლევდა და ყოველივე საშუალებით მას ძირს უთხრიდა—უმწიკვლო და მართალი იყო და თუ ხანდახან ცუდ რამეს მაინც ჩაიდენდა, ეს გამოწვეული იყო, რასაკვირველია, ჩვენის მხრით. ასე განაგრძობენ ესენი ძველი ფეოდალების პოლიტიკას დღეს ხალხური საქართველოს წინააღმდეგ.

ამრიგად, ბ. ავალიშვილისაგან ჩვენ გავიგეთ თუ როგორ გადასცა საქ. მართველობამ ოსმალეთს ბათუმი, გენ. კვინიტაძისაგან—თუ როგორ გადასცეს სომხებს ლორი და ბორჩალო. ხოლო თუ როგორ გადასცეს ოლთისის ოლქი, ამას მოგვითხრობს ბ. გვარამაძე, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახიროო—სწორედ ესაა. პირველ წერილში ის სწერდა, რომ როგორც კი შევიდა ერთხელ შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაშინვე მივარდა მინისტრი რამიშვილი და ჰკითხა:—ერთი მაჩვენე სადაა კარტაზე ეს ოლთისიო. მანაც, რასაკვირველია, აჩვენა, აუხსნა კიდეც. ბედი რომ დროზე მისულა, თორემ მინისტრს ალარ ეცოდინებოდა სად იყო ოლთისი და არც იყო ახლო-მახლო ვინმე რომ ეს მისთვის აეხსნა და ეჩვენებინა! ახლა კიდევ მას თურმე დაშიფრული დეპეშა გაუგზავნეს და უბრძანეს—ოლქი ოსმალებს გადაეციოთ. თუ რა დეპეშა გაიგზავნა—ეს იბეჭდება ამავე ნომერში. მისი შინაარსი გამოქვეყნებულია დიდი ხანია, იმავე 1921 წ., მაგრამ რა ქნას ამ ვაჟბატონმა, ისიც ასრულებს თავის ბრძანებასა და თანახმად ამისა ბეჭდავს თავიდან ბოლომდე მოჭორილ ამბავს.

ვინც ახლო იდგა ჩვენი ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებასან იცის, რომ სწორედ იმ დროს, როცა კომუნ. ჯარები შემოგვესია, ოსმალეთის ჯარების უფროსმა მოითხოვა ოლთისის ოლქის დაცლა და ეს, როგორც ახლა გამოირკვა, თანახმად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც თურმე იმ დროს დადებულა კომუნისტებსა და ოსმალეთს შორის. თათბირმა, რომელმაც განიხილა ოსმალეთის ეს მოთხოვნა და რომელსაც დაესწრენ გარდა მთავრობისა სხვა პასუხისმგებლი პირებიც, დაადგინა: რადგან საქართველოს არ შეუძლია ბრძოლა აწარმოვოს ორ ფრონტზე, იძულებულია ოლქიდან ჯარები გამოიყვანოს, აცხადებს პროტესტს და ოლქს სცლის. ასეთია ნამდვილი ისტორია, ხოლო რასაც გვარამაძე მოგვითხრობს—ესაა ზღაპარი, რომელიც ეკადრება მის ავტორს. თუ ყოველივე ამას მიუმატებთ იმ სიყალბით სავსე ანგარიშს, რომელიც მოთავსებულია იმავე ნომერში 4 დეკ. საზოგადო კრების შესახებ—ჩვენთვის ნათელი იქნება ის ამორალიზმი, რომელიც გამეფებულია ამ უზნეო გაზეთის ყოველნაირ გამოცემაში! ხალხი, რომელიც ასე ამახინჯებს პარიზში მომხდარ საჯარო კრების ამბავს, როგორ არ დაამახინჯებს ისტორიულ ამბებს! ტყუილი და ორპირობა მათი ერთად-ერთი ხელობაა.

* * *

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიემატაო. ბამატ-ავალიშვილის რაზმს ბ. დ. სალირაშვილიც შეემატა და როგორც შეშვენის ძველ ფეოდალების შინაყმებს, თავის ბატონის დასაცავად შეტევაზე გადმოვიდა. პირველი იერიში მას ბ. ბებურიშვილზე მიაქვს—თუ როგორ გაბედა მან და სიტყვა შეუბრუნა ბ. ავალიშვილს და ისიც ისე მოურიდებლად. გზადაგზა კიდევ ვილაცეებს ემუქრება, ვილაცეებს ჭკუას არიგებს, ვილაცეებს ნატაციებს უკითხავს, მორალზედაც მასლაათობს და ათავებს ისე, როგორც ეკადრება: «უფლება მაქვს ვსთქვა, რომ ეს სუნი ძალიან წააგავს ფილიპე მახარაძის წერილების სუნს «მოგზაურში» ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ და ხომ ვიცით რა სამარცხვინო, სავალალო როლი ითამაშეს ამ წერილებმა?»-ო.

რა როლი ითამაშეს ბ-ნო სალირაშვილო? სთქვით აშკარად და გარკვევით—რად მორცხვობთ, მით უფრო რომ იმაზე მეტს ვერას იტყვით, რაც სთქვა ამის შესახებ გუნიამ და მისმა «ნიშადურმა». ამის შემდეგ არა ერთი და ორი წელი იყო ბ. სალირაშვილი იმათ რიგებში, ვისაც გუნია და მისი «ნიშადური» ასეთ სისაძაგლეს აწერდა, სხვებთან ერთად იმ დროს მასაც აღელვებდა ასეთი უზნეო წამოყვედრება წამოძახება, მარა დრონი იცვალენ, დღეს სალირაშვილი «ჭკუაში ჩაჯდა», დადინჯდა, ძველი დაივიწყა, ახალი შეითვისა, «ქართველი კაცის დარდიმანდობაზე» მუსაიფს შეუდგა და ეს «დარდიმანდობა» ისე გაიგო, რომ მას შეუძლია აიღოს ტალახიდან 30 წლის წინეთ ნასროლი ბინძური ბრალდება და მისი საკუთარი «დარდიმანდობით» დღევანდელ მკითხველს მიართვას! ასეთ კაცში აბა რა აღშფოთება უნდა გამოეწვია ავალიშვილის წერილს და ის მართალია, როცა სწერს: «ბებურიშვილი ბრძანებს რომ ბ. ავალიშვილის დასახელებულმა წერილმა ემიგრაციაში დიდი აღშფოთება გამოიწვიაო. მე კი ხმა მაღლა უნდა განვაცხადო, რომ პირიქით»-ო და სხ. ამის შემდეგ არც ის დიდი ტყუილი უნდა გაგვიკვირდეს, რომელიც მან იმავე «კავ.» ფურცელზე გამოაგორა: «საქმე იქამდის მივიდა, რომ ინგლისელებს ბათუმის გამო თითქმის ომიც კი გამოუცხადეთო» (№ 6). ასეთი რამ ჩვენ თავის დღეში არ გაგვიგონია. მაგრამ მან თუ არ იცრუა, ისე ხომ ბამატის სასუფეველში ვერ შევა...

გრ. ურატაძე.

## ბოლშევიზმი და სოციალიზმი

«სოციალისტური ვესტნიკის» ნოემბრის № 21–22-ში მოთავსებულია იუგოვის წერილი სათაურით «სოციალიზმის ბუნების წინამძღვრები რუსეთში». ავტორი სამართლიანად გაურბის ბოლშევიკურ სტატისტიკას, როგორც სრულიად უიმედოს რუსული სინამდვილის გასაგებათ, მაგრამ მაინც საიდანღაც ასეთ საკვირველ დასკვნამდი მიდის წერილის პირველ ნაწილში: «თუ იმ კრიტერიიდან გამოვალთ, რომლითაც მეცნიერული სოციალიზმის მამათმთავარნი ხელმძღვანელობდენ, უნდა დავასკვნათ, რომ საწარმოვო ძალთა და ურთიერთობათა სფეროში საბჭოთა კავშირში არსებობენ სოციალიზმის შენებისათვის აუცილებელი ყველა ძირითადი პირობები. კიდევ მეტი. ზოგიერთი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობა ფორმით უკვე წააგავს სოციალიზმს»-ო. საინტერესოა იმ მოსაზრებათა გათვალისწინება, რომლებმაც ავტორი ამ კურიოზულ დასკვნამდე მიიყვანეს.

როგორც ვიცით 1917 წლამდე რუსეთის სოც.-დემოკრატები ფიქრობდენ, რომ რუსეთი მეტად ჩამორჩენილი იყო სოციალისტური ექსპერიმენტებისათვის. მათი რწმენით მუშათა კლასი უნდა დაკმაყოფილებულიყო ფართე პოლიტიკური თავისუფლების მოპოებით, სოციალური ბრძოლის აუცილებელ პირობას რომ წარმოადგენს. ამ აზრისათვის მენშევიკებს ოქტომბრის ჯანყის დღეებშიაც არ უღალატნიათ, მაგრამ იუგოვის აზრით დღეს მდგომარეობა სხვაა. მას შემდეგ განვლო ბრძოლებით სავსე ოცმა წელმა და ეს პერიოდი საკმარისია ქვეყნის ფიზიონომიის ძირიანად შესაცვლელად. ინგლისი ხომ დღეს ის აღარ არის, რაც იყო ოცი წლის წინედ. ავტორი სოციალიზმის წინამძღვრად აღიარებს სამუშაო იარაღების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ახლად აღმოცენებულ დიდ წამოწყებებს, რომლებშიდაც დაბანდებულია დიდი კაპიტალი და მუშათა დიდ რაოდენობას იტევს. ბოლშევიკური სახელმწიფო განაგებს, როგორც მსხვილ წარმოებას ისე საშუალო და წვრილი წარმოების დიდ ნაწილს, მაგრამ საინტერესო სწორედ იმის გამორკვევაა თუ რამდენად წააგავს ბოლშევიკური ნაციონალიზაცია სოციალიზმის შენებას? ცნობილია, რომ დღევანდელ რუსეთში არ არსებობს არც თავისუფალი კლასი და არც თავისუფალი ადამიანი. მსხვილი წარმოების მნიშვნელოვან დარგთა ნაციონალიზაცია ინტერნაციონალური სოციალიზმის ბრძოლის მორიგ საგანს წარმოადგენს, მაგრამ დღევანდლამდე არავის უფიქრია, რომ ნაციონალიზაციასა და სოციალიზაციას შორის იგივეობის ნიშანი დაესვა. მას მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა, როცა სახელმწიფოს უფლებები კონსტიტუციით განსაზღვრულია; როცა კანონმდებელი და აღმასრულებელი ორგანოები ხალხის ფართე და მუდმივ კონტროლს ექვემდებარებიან. წინაალმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება მის ხელში დაგროვილ ეკონომიურ რესურსებს იყენებს საზოგადოების წინააღმდეგ და ხდება დესპოტიური. კაცობრიობის ისტორია სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთშორის ბრძოლის ისტორიაა პრიმატობისათვის და ამ ბრძოლიდან გამარჯვებული მუდამ ეკონომიური სადავეების მფლობი ორგანიზმი გამოსულა. რუსეთში ასეთი ორგანიზმი დღეს ბოლშევიკური სახელმწიფოა. იუგოვი სოციალიზმის მომავლისათვის დიდ მნიშვნელობას აძლევს საშუალო და წვრილი წარმოების ნაციონალიზაციას, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ვიცით, მეცნიერული სოციალიზმის თეორეთიკოსებს წვრილი წარმოების კონფისკაცია და ადამიანის ეკონომიური შემოქმედების მტკიცე პოლიტიკურ არტახებში ჩაჭედვა სოციალიზმის სფეროში არ მოუქცევიათ, იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ სოციალიზმი თავისუფალ ადამიანს გულისხმობს, ხოლო თავისუფალი შემოქმედების გარანტია მის მიერ შექმნილი სიმდიდრის კერძო საკუთრებაა. მარქსი კიდევაც უსაყვედურებდა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას პრინციპიალურად ორი სხვადასხვა სახის კერძო საკუთრების აღრევას, რომელთაგან ერთი დამყარებულია მწარმოებლის საკუთარ შრომაზე და მეორე სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე. ის სწერდა:

«მუშის კერძო საკუთრება მის წარმოების საშუალებებზე წვრილი წარმოების საფუძველს შეადგენს. ხოლო წვრილი წარმოება თვით მუშის საზოგადოებრივი წარმოების და თავისუფალი ინდივიდუალობის განვითარების აუცილებელი პირობაა. მართალია ეს წარმოების წესი არსებობს აგრეთვე მონობის, ბატონ ყმობის და დამოკიდებულების სხვაგვარი ურთიერთობის დროსაც, მაგრამ იგი ჰყვავის, იჩენს მთელს თავის ენერგიას და იღებს სათანადო კლასიკურ ფორმას, მხოლოდ იქ, სადაც მუშა თავისი შრომის პირობების თავისუფალი კერძო მესაკუთრეა, სადაც გლეხი მესაკუთრეა მის მიერ დამუშავებული მიწისა და ხელოსანი—იმ იარაღებისა, რომლებსაც იგი ვირტუოზულად ათამაშებს» (კაპიტალი. ტომი I, ქართ. თარგმანი გვ. 703).

როგორც ვხედავთ, საწარმოვო საშუალებებზე კერძო საკუთრება, მარქსის თვალში, მუშისა და გლეხის თავისუფალი ინდივიდუალობის გარანტიაა. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის მუშა და გლეხი დიდი ხანია გაქრა როგორც დამოუკიდებელი მწარმოებელი, ე. ი. მომავალი საზოგადოების მშენებელი თავისუფალი სუბიექტი? მაშ, რა უფლება აქვს იუგოვს ბოლშევიკური საქმიანობა ისტორიული მატერიალიზმის სახელით სოციალიზმის ეტაპათ გამოაცხადოს და რუსული მგელი უცოდველი კრავის ტყავში მოგვაჩვენოს?! ვისთვის, რა საჭიროა ამ მარქსისტული ჭეშმარიტების მიფუჩეჩება? იქნება რუსეთის განსაკუთრებული პირობები მოითხოვდენ ამ ჭეშმარიტებიდან გადახვევას მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოთ! ავტორი გვარწმუნებს, რომ მართალია ცხოვრებას ევროპის დონემდე არ მიუღწევია, მაგრამ გაუმჯობესება უტყუარი ფაქტიაო. ჩვენ ხომ ვიცით, რომ რუსი მუშის ხელფასი ევროპიელ თანამოძმის ხელფასთან შედარებასაც ვერ უძლებს; ჩვენ ხომ ვიცით, რომ «ევროპის ბეღლად» ცნობილი შავი ზონა კოლხოზელ გლეხს დღეს სარჩოს არ აძლევს და მილიონები სიმშილით იხოცებიან! ისიც ხომ აშკარაა, რომ უუფლებობით გამოწვეულმა საყოველთაო გულგრილობამ დასცა შრომის ნაყოფიერება, მოშალა ტრანსპორტი, გაანადგურა სასოფლო მეურნეობა და საზღაპროთ გაახშირა უბედური შემთხვევები შრომის პროცესში. კერძო საკუთრების კონფისკაცია სახელმწიფოს მიერ, ყველა კაპიტალისტურ-ეკონომიური პრინციპების დატოვებით—დაქირავებული შრომა, ზედმეტი ღირებულება და სხ. არა თუ აახლოებს სოციალიზმს, არამედ უკან სწევს მას მისი მთავარი შემომქმედის, მუშათა კლასის დამონავებით. ევროპის მუშათა კლასი იბრძვის დემოკრატიული თავისუფლების პირობებში და ბრძოლის პროცესში იძენს აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას საბოლაო მიზნის მისაღწევაო. აქ, სახელმწიფო არის არბიტრი, ანტაგონისტურ კლასთა მომრიგებელი, თვითეულის თავისუფლების კონსტიტუციონური გუშაგი. რუსეთის მუშათა კლასი ეკონომიურად და სოციალურად დაპირისპირებულია სახელმწიფოსან, რომლის ხელშია მთელი ეკონომიური ცხოვრების მონოპოლია და მასან ბრძოლა უფლებრივად აღკვეთილი აქვს. მუშათა ეკონომიურ მოთხოვნილებებს და გაფიცვებს კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია უპასუხებს ლოკაუტით, მასიური დათხოვნით და სხვა მშვიდობიანი ზომებით. საბჭოთა სახელმწიფო კი მათ უმასპინძლდება ციხით, გადასახლებით, ოჯახის აწიოკებით და ფიზიკური განადგურებით. «თუ სტალინის დიქტატურა სოციალისტურის სახელს იმსახურებს—შენიშნავს სუვარინი—მაშინ პარაგვაის იეზუიტთა თეოკრატიული დომინაცია სოციალიზმის პიონერთა წამოწყებების გვერდით უნდა დაისვას. მუშათა ნომინალური უპირატესობა ბოლშევიკურ მოძრაობაში სრულიად არ სცვლის საქმეს; აფრიკელ ბამბარებში მჭედლები აკურთხებენ ხოლმე მეთაურს, მაგრამ ამით მათი კასტა ნაკლებათ არ ითვლება და, არავის აზრად არ მოსვლია სუდანის და სენეგალის ხალხები პროლეტარული დემოკრატიის მაგალითად გამოეცხადებიაო»-ო.

ბოლშევიკური ექსპერიმენტები არა თუ ქმნიან სოციალიზმის წინამძღვრებს ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით მიაქანებენ მას. მსხვილი წარმოების ნაციონალიზაციით ხელისუფლება იძენს აუცილებელ იარაღს ტერორისტული რეჟიმის გასამაგრებლად; პოლიციის, ბიუროკრატიის და პარტიის დარჩენილი ნაწილის დასაკმაყოფილებლად; საგარეო საპროპაგანდო ხარჯების დასაფარავად, საშუალო და წვრილი წარმოების კონფისკაცია და გლეხთა მეურნეობის კოლექტივიზაცია საშუალებას აძლევს მას სრულიად დაიმორჩილოს ადამიანი, მოსპოს მისი დამოუკიდებლობის წყარო და თავისუფლების საფუძველი; ჩაჰკლას თვითმოქმედების და აზროვნების უნარი და სავსებით გათქვიფოს იგი დესპოტიური სახელმწიფოს მოხარკე ამორფიულ მასაში. მართლაც იდეოლოგიური აკრობატობაა საჭირო, რომ ამ ბარბაროსულ ექსპლოატაციის პირობებში სოციალიზმის წინამძღვრები აღმოაჩინო! სოციალიზმის დანიშნულებაა ადამიანის განთავისუფლება საგანთა ბატონობისაგან; ბრმა აუცილებლობის სამყაროს ცნობიერი თავისუფლების სამყაროდ გადაქცევა. ამ დანიშნულებას მონები ვერ გაამართლებენ.

აქამდე ავტორი გვესაუბრებოდა სოციალ ეკონომიური თვალსაზრისით რუსეთის დიდ მიღწევებზე, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა კულტურულ-ფსიქოლოგიურ ფრონტზე. რუსეთის ხალხი სრულიად მოუმზადებელია ფსიქოლოგიურად, სუბიექტიურად. მისი აზრით ეს აიხსნება ქვეყნის ნაჩქარევი ინდუსტრიალიზაციით. მასის კულტურული მომზადება ვერ გაჰყვა საწარმოვო ძალების გიგანტიურ სვლას. განა ეს არის მიზეზი მასის ჩამორჩენილობისა? რომანოვების დინასტია 400 წელიწადი განაგებდა რუსეთის იმპერიას, რომლის ეკონომიური ვითარების ასაჩქარებლად მათ თავი არ შეუწუხებიათ, მაგრამ ხალხი მაინც ბრიყვი და ჩამორჩენილი იყო. ეს აიხსნება მით, რომ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ სისტემაში მისი ადგილი არ არსებობდა; მას აკრძალული ჰქონდა საკუთარი ცხოვრება, საკუთარი თავით აზროვნება. ასევე ხდება ბოლშევიკურ რუსეთში. მისი სიბნელიდან გამოსვლა, საკუთარი ინტერესების ცნობიერი განაღდება ხელისუფლების არსებობას ემუქრება. ეს უკანასკნელი იძულებულია ცეცხლითა და მახვილით მოუღოს ბოლო ხალხური ნებისყოფის ყოველგვარ მოვლენას. მუშათა კლასი მოკლებულია საკუთარ ორგანიზაციას, თვითმოქმედების და ბრძოლის უფლებას. ეს გარემოება იწვევს შემოქმედების ერთფეროვნებას, დეგრადაციას, უკან დახევას, მაგრამ ხალხს მაინც გააჩნია მისი ინტერესების ინსტიქტიური შეგნება და ებრძვის სულთამხუთავ სახელმწიფოს ყველა თავის ფორმებში. რომ იუგოვის დებულება, სოციალისტური ფორმების არსებობისა, მცდარი არ იყოს, იძულებული ვიქნებოდით გვეფიქრა, რომ ის იბრძვის ამ ფორმების წინაალმდეგ, მაგრამ ნამდვილი ისაა, რომ რუსეთის ხალხი ესწრაფვის ეტატიზმის ყველაზე ბარბაროსული ფორმის ლიკვიდაციას. თვით ავტორიც ვერ შემაგრებულა თავის პირველ დებულებაზე და წერილის მეორე ნაწილში გვეუბნება: «საბჭოთა რუსეთში შექმნილ სისტემას ჩვენ უნდა ვუწოდოთ სახელმწიფო კაპიტალიზმი, ე. ი. ისეთი წყობა, სადაც დაქირავებული შრომა და საქონლის მეურნეობა განაგრძობენ არსებობას, მაგრამ კერძო კაპიტალისტები შესცვალა სახელმწიფომ»-ო. თუ ამ დასკვნას, ავტორის პირვანდელ დებულებას შევადარებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ერთმანეთში ურევს სოციალისტურ ფორმებს და კერძო კაპიტალისტთა როლის სახელმწიფოს მიერ მითვისებას. ეს არის ცნებათა მიუტევებელი აღრევა. დღევანდელი რუსეთის ეკონომიური სისტემა, როგორც დავინახეთ, კაპიტალიზმის უმახინჯესი ფორმაა, რამდენადაც ეკონომიურ ჩაგვრას პოლიტიკურ-იურიდიული არტახები ამაგრებენ. «სოც. ვესტნიკის» თანამშრომლის ასეთი გაუგებარი პოზიცია ამაგრებს ბოლშევიკურ ტირანიას, არყევს მეცნიერული სოციალიზმის პოზიციებს, ხელს უწყობს რუსეთის მშრომელთა მონობის გახანგრძლივებას და რიყავს თვით ამ გაზეთს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებისაგან. ჩვენი ავტორის მოსაზრებები საბჭოთა სისტემისადმი მის რომანტიულ კეთილ განწყობილებას მიეწერება. ისინი ყალბი არიან მეცნიერული, სოციალისტური თვალსაზრისით და მავნე და მიუღებელი, როგორც ბრძოლის და მოქმედების კრიტერია. რამდენადაც ბოლშევიზმი სოციალიზმის გზის გასწვრივ ამოსული ნარ-ეკალია, მისი ძირ-ფესვიანად აღმოფხვრა მომენტის აუცილებლობას წარმოადგენს. იუგოვის რომანტიკა ვერ შესცვლის ისტორიის ამ გარდაუვალ განაჩენს.

ვალ.

## გვარდიის დღე

გასულ 12 დეკემბერს, პარიზში მყოფ ყოფილმა სახალხო გვარდიელებმა მოაწყვეს საზეიმო სხდომა სახალხო გვარდიის დღის და არსენალის აღების ოცი წლის თავის აღსანიშნავად; კრებას დაესწრო თითქმის ყველა პარიზში მყოფი ყოფილი გვარდიელები, და აგრეთვე ბევრი მისი ღვაწლის პატივისმცემელნი; განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ჩვენი ახალგაზდობის თითქმის უკლებლად მოსვლა.

კრების თავმჯდომარედ მოწვეული იყო აწ განსვენებული სიმონ მდივანი, რომელიც მოულოდნელად სწორედ იმ დღეებში გახდა ავად. კრებამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ ვ. გოგუაძე, რომლის წინადადებით და კრების მხურვალე ტაშისცემით საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარე სახალხო გვარდიის დამაარსებელი ნოე ჟორდანია.

ბრძოლებში და რუსეთის ციხეებში დაკარგულ თუ დახვრეტილ მრავალ გვარდიელების პატივისცემით მოგონების შემდეგ—გვარდიის მოღვაწეობის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისათვის მოხსენებები გააკეთეს და სიტყვები წარმოსთქვეს: ვ. გოგუაძემ, კ. ნიჟარაძემ, მ. ვარდოიანმა, ვლ. მგელაძემ, ვ. ჩუბინიძემ, მ. ჩუბინიძემ, დ. რევაზიშვილმა, ბ. წულაძემ და ს. გოგიბერიძემ. კრებას მშვენიერი სიტყვებით მიესალმენ: ილ. ნუცუბიძე და პოლ. ვ. ცხაკაია.

კრებამ მიიღო მისალოცი წერილები სოშოდან, ტარნის დეპარტამენტში მყოფ ყოფ. გვარდიელებიდან და ბელგიიდან ირ. ცაგურიასაგან.

თავის მხრივ კრებამ მხურვალე სალამი მიუძღვნა ყველა ყოფილ სახალხო გვარდიელთ, განურჩევლად მათი პოლიტიკური მიმართულებისა, იქ სამშობლოში თუ რუსეთის ციხეებში და აქ ემიგრაციაში და უსურვა ყველას სიმხნე და სიმტკიცე, იმ დღის მოლოდინში, როცა ყველა, ძველებურად მხარ და მხარ შევებრძოლებით საერთო მტერს სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

№.